ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 24 (80) 19-25 ივნისი, 1992 წ.

## სახელმწიფო საბჭოში მალე ვაკანტური ადგილები გაჩნდება, თუ ყველამ ყველაფერზე თავი ვაკანტურეთ...

ზუსტად ამ სიტყვებით არა, მაგრამ ამ შინაარსით საბჭოს უკანასკნელ სხდომებზე რამდენიმე ორატორი გამოვიდა. მაგალითად, საბჭოს რამდენიმე წევრი თვლის, რომ მათი ადგილი საბჭოში არ დარჩება იმ შემთხვევაში, თუ მათი იქ სხდომა მხოლოდ სპექტრის მრავალფეროვანებისთვისაა გამიზნული, თუ ისინი კვლავ დარჩებიან ფაქტის ალმნუსხველების როლში. თუ მათ, როგორც ქვეყნის უმაღლესი ორგანოს წარმომადგენლებს წინასწარ არ შეუთანხმებენ იმ ღონისძიებებს, რომელთა შესახებ მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ შეიტყობენ ხოლმე.

ამ საყვედურითაა გაჯერებული განცხადება, რომლითაც 16 ივნისს მიმართეს სახელმწიფო საბჭოს, სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმსა და მის თავმჯდომარეს **სახალხო ფრონტის, რესპუბლიკური პარტიის, დას-ის, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის** იმ წარმომადგენლებმა, რომელნიც სახელმწიფო საბჭოს წევრები არიან.

გთავაზობთ ამ მიმართვის ტექსტს.

* * *

სამ თვეზე მეტი — 100 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც მეტად რთულ ვითარებაში შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო. დაახლოებით ამდენივე დრო დარჩა 11 ოქტომბრისათვის დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელთა საყოველთაობის, დემოკრატიულობისა და სტაბილურ ვითარებაში ჩატარების უზრუნველყოფა საბჭოს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს.

ჩვენი აზრით, სახელმწიფო საბჭოს პოტენციალი გავლილი პერიოდის განმავლობაში სრულად არ იქნა ამოქმედებული. ამის მიზეზია არა მარტო საბჭოს წევრების არასაკმარისი აქტიურობა თუ პროფესიონალიზმის გასაგები ნაკლებობა, ზოგი მათგანის მიერ იმ დიდი პასუხისმგებლობის გაუცნობიერებლობა, რომელიც მათ აკისრიათ ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარებისათვის, არა მარტო საბჭოს მუშაობის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციული დონე, მიუხედავად თვით საბჭოს შემადგენლობისა და მისი აპარატის განუწყვეტელი რაოდენობრივი ზრდისა, არამედ საბჭოს წევრთა სრულიად არასაკმარისი ინფორმირებულობა რესპუბლიკაში თუ მის გარეთ მიმდინარე პროცესებისა და ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებების შესახებ. დროდადრო ინფორმაცია საბჭოს სხდომებზე, საბჭოს წევრების POST-FACTUM საქმის კურსში შეყვანა არ აძლევს მათ საშუალებას სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრასა და განხორციელებაში.

საბჭოს წევრებზე უარეს მდგომარეობაში იმყოფება რესპუბლიკის მოსახლეობა, რომელიც განიცდის ინფორმაციის მწვავე ნაკლებობას, რაც ჭორებისა და მითქმა-მოთქმის საფუძველი ხდება და, საბოლოო ანგარიშით, კანონზომიერად ამცირებს ნდობას სახელმწიფო საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და თავმჯდომარის მიმართ.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ყოველივე ეს უკანასკნელი მოვლენების ფონზე. თავდასხმა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეზე, თავდაცვის მინისტრის მოადგილის მძიმე ჭრილობა, დესტაბილიზაციის ახალი ტალღა სამეგრელოს ზოგიერთ რაიონში, საბრძოლო მოქმედება ცხინვალის რეგიონში — ყველა ეს და მრავალი სხვა ფაქტი ღრმა გააზრებასა და სრულ ინფორმირებულობას მოითხოვს სახელმწიფო საბჭოს წევრთა მხრიდან.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე მინისტრთა კაბინეტის მონაწილეობით შაბათს, 20 ივნისს მოსმენილ იქნეს:

1. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ანგარიში ქვეყნის შიდა და გარეპოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მისეული ანალიზითა და შეფასებებით;

2. პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ანგარიში რესპუბლიკის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობისა და რეფორმების მიმდინარეობის შესახებ.

მოხსენებებში, ჩვენი აზრით, ასახულ უნდა იქნეს ვითარება რესპუბლიკაში, ხელისუფლების დამოკიდებულება ცხინვალის რეგიონში, აფხაზეთში, აჭარაში, სხვა ცხელ წერტილებში მიმდინარე პროცესების მიმართ, მეზობელი რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ ბოლო ხანს წარმოებული პოლიტიკის შეფასება და საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარის გაყვანის პროგრამა და გრაფიკი, საკუთარი ჯარის შექმნასთან დაკავშირებული პრობლემები, სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დღევანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები, უცხოური ფინანსური დახმარების გამოყენების პრინციპები და სფეროები, კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიებები, საკადრო პოლიტიკა და სხვა საჭირბოროტო საკითხები.

ძირითადი მომხსენებლებისა და კამათში მონაწილეთა გამოსვლები, ჩვენი აზრით, სრულად და პირდაპირ უნდა იყოს ტრანსლირებული საქართველოს ტელევიზიით.

**თბილისი, 1992 წლის 16 ივნისი**

ი. ხაინდრავა
გ.ბერიშვილი
ლ.ბერძენიშვილი
ვ. გოცირიძე
ა.გოგოხიძე
მ.ნანეიშვილი
ლ.მესხი
თ.ნერგაძე
ა.მარშანია
ვ. ძაბირაძე
ი.შენგელაია
ვ.ხმალაძე
ფ.საყვარელიძე

## წკიპურტები გინა თუ მუჯლუგუნები

„ნოვაია გაზეტას" მე-10 ნომერში დასტამბულია ინფორმაცია სათაურით — **„ცხინვალის შტურმი"**. ინფორმაციაში ვკითხულობთ: **„დაწყებული შაბათიდან, საქართველოს ეროვნული გვარდია უტევს ცხინვალს. ქალაქი, ფაქტიურად, გარემოცვაშია. მიმდინარეობს განუწყვეტელი საარტილერიო დაბომბვა."**

ეს ფრაზები აწყობილია მსხვილი შრიფტით გაზეთის პირველ გვერდზე, ალბათ იმისათვის, რომ რუსულენოვანმა გაზეთმა მთელი დუნიის ყურადღება მიაქციოს ქართული მხარის აღმაშფოთებელ საქციელს. ხოლო ის, ვინც სათანადოდ ვერ აღშფოთდება და ქართველების წინააღმდეგ სასწრაფოდ არ წამოავლებს ავტომატს ხელს, ტექსტის სრულად წაკითხვის შემდეგ მაინც, ვერ დარჩება გულგრილი და შესაძლოა ყოვლად უწყინარი ან მშიშარა კაციც კი, ბრძოლაში გადაეშვას ოსების საცოდაობით გულდამწვარი...

აი, დამატებით რას გვაუწყებს ეს ინფორმაცია — **„კვირას, მაგალითად, ცხინვალისაკენ გასროლილ იქნა 2000 ჭურვი. საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობს მძიმე ტექნიკა."**

ამ ინფორმაციის ჭკვათამყოფელ ავტორს გვინდა ვკითხოთ: 2000 ჭურვი რომ დაეშინათ ჩვენს გვარდიელებს ცხინვალისათვის, ახლა იქ ქვა— ქვაზე თუ იქნება დარჩენილი? 2000 ჭურვი მას 2000 კენჭი ხომ არ ჰგონია? ან რა შტურმზეა ლაპარაკი, ცხინვალის ასაღებად არცერთი შეტევა არ განხორციელებულა, თორემ „ნოვაია გაზეტას" გარდა თბილისში სხვასაც ეცოდინებოდა ეს ამბავი...

ეს გაზეთი არც სიცრუისა და დეზინფორმაციაში გაწაფული ექსტრემისტებისა გახლავთ და არც რუსი შოვინისტებისა. თბილისში გამოდის, ჩვენია, ჩვენივე ხალხი თანამშრომლობს იქ და, ამდენად, განსაკუთრებით გულდასაწყვეტია აღნიშნული პუბლიკაცია.

საბედნიეროდ, მის რედაქტორთან, ბ-ნ ივლიანე ხაინდრავასთან საუბრისას გაირკვა, რომ ინფორმაცია გაზეთში მისგან წაუკითხავად მოხვედრილა. მართალია, ეს მას პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს, მაგრამ მორალურად მისი სახელისათვის ერთგვარი შეღავათია.

რაც შეეხება ინფორმაციის ავტორს, „თავშიშველი სამ დღეს" თუ არ ივლის, ბოდიში მაინც უნდა მოიხადოს ამ ავი საქმის ჩადენისათვის, თან ეს სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს, ვიდრე აღნიშნულ მასალას ქართველთმოძულე პირები სხვა ქვეყნების საინფორმაციო საშუალებებს მიაწვდიან.

*

ამას წინათ ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა ინტერვიუ ქ-ნ ლიანა ისაკაძესთან. ლიანა ისაკაძე გერმანიაში ცხოვრობს და ეს ინტერვიუ თბილისიდან ტელეფონის ზარით შემდგარა.

კორესპონდენტი ეკითხება ქალბატონ ლიანას.

**— დაბრუნებას როდის აპირებთ?**

ხელოვანი პასუხობს:

**— სამწუხაროდ, მომავალი წლის მარტ-აპრილამდე ვერ ჩამოვალ, არადა, ყველა ძალიან მენატრებით, მენატრება ჩემი სამშობლო.**

ქ-ნ ლიანას ვუდასტურებთ ჩვენს დიდ პატივისცემას და სრული გაგებით ვხვდებით მის გადაწყვეტილებას, კიდევ ერთი წელი დაჰყოს უცხოეთში, მაგრამ გვინდა ნათელი მოვფინოთ ერთ გაუგებრობას.

თუ ლ.ისაკაძე მართლა იძულებით გადაიხვეწა სამშობლოდან, ახლა რა უშლის ხელს უკან დასაბრუნებლად?

მისი „გამძევებლები" ხომ პოლიტიკურ ასპარეზზე აღარ არიან?..

სხვათაშორის, „იძულებით გადახვეწილი" სხვა პირებიც ჯერ-ჯერობით არ აპირებენ თბილისს ჩამობრძანებას. აქედან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, ჩვენი ხელოვანნი სამშობლოდან არავის გაუძევებია. ისინი შემოქმედებითი ნიჭისა და ცხოვრების გასაფურჩქნად გაემგზავრნენ უფრო დალხენილი ყოფის მქონე ქვეყნებში...

## ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ „ისეირნეს" გორში რუსის ტანკებმა

13 ივნისს გორის მცხოვრებლებმა თვალნათლივ დაინახეს თუ რა შეუძლიათ გააკეთონ ე.წ. ესენგეს საოკუპაციო ჯარებმა. შეძლებით კი მათ შეუძლიათ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დისლოკაციის ადგილიდან ტანკებით ქუჩაში გამოვარდნა და მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა.

ყველაფერი დაიწყო ასე, თუმცა ვიდრე იმას ვიტყოდეთ, რა როგორ დაიწყო, ერთ გარემოებაზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

ჩვენმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, თითქოს 13 ივნისს გვარდიის ფორმაში გადაცმული პირები თავს დაესხნენ გორში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილს, რომ თავდასხმის შედეგად აღგზნებული ჯარისკაცები ამის შემდეგ ტანკებით გამოვიდნენ გორის ქუჩებში, რომ არის მსხვერპლი და დაჭრილები.

ეს იყო და ეს.

ამ ინფორმაციით ერთგვარი გამართლებაც კი ეძლევა ჯარის ნაწილების მოქმედებას, აქაოდა აღგზნებულნი იყვნენ და ამიტომ იმოქმედეს ასე.

ახლა გვინდა ვიკითხოთ, რამდენიმე კაცი, თუნდაც რამდენიმე ათეული რომ ჯარის ნაწილს დაესხას თავს, განა ეს უფლებას აძლევთ სამხედროებს, რომ მათზე გაბრაზებულნი, ქალაქის მშვიდობიან მოსახლეობას დაერიონ?

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ მსგავსი რამ მოსკოვში მოხდეს. განა სამხედროები მოსკოველებზე იყრიან ჯავრს და ქალაქის მშვიდობიან ოჯახებს გაუხსნიან ცეცხლს? ეს იქ არ მოხდება, საქართველოში კი ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა, ამიტომ უნდა გვახსოვდეს მუდამჟამ, რომ საქართველოში ნამდვილად საოკუპაციო ჯარი დგას, რომლისგანაც დანდობის დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რა როგორ მოხდა.

წინა დღეებში ცხინვალის რეგიონში დისლოცირებულ გვარდიელთათვის ცნობილი გახდა, რომ ჩრდილოეთ ოსეთში ოსებმა და სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელებმა გაითამაშეს ფარსი.

ოსები ვითომ თავს დაესხნენ იქ დაბანაკებულ სამხედრო ნაწილს და იქიდან გამოიტაცეს დიდძალი სამხედრო ტექნიკა. თავდასხმა, ცხადია, გათამაშებული იყო. სინამდვილეში „თავდამსხმელებს" იარაღი მისცეს ან მიჰყიდეს, რაც იქიდანაც ჩანს, რომ მეორე დღეს „თავდასხმის" ორგანიზატორები, რომელნიც დაპატიმრებული ჰყავდათ სამხედროებს, გაანთავისუფლეს...

და, აი, მძიმე სამხედრო ტექნიკის გრძელი რიგი გამოუყვა საქართველოს გზას. ოსმა ექსტრემისტებმა როკის გვირაბით შემოიტანეს დიდი ტექნიკა, ცხადია, ქართველების დასახოცად.

ამის შემდეგ ხდება ის, რაც გორში მოხდა...

გორის სამხედრო ნაწილში მიდიან გვარდიელები, როგორც ტრაგედიის თვითმხილველი, გორის გამგებელი ამბობს, მათგან ბევრი უიარაღო იყო. აი, ეს გვარდიელები ჩახოცეს ჯარისკაცებმა. მძიმედაა დაჭრილი სარდლის მოადგილე ბატონი ბესიკ ქუთათელაძე.

ისმის კითხვა, დღისით, მზისით, თუ სამხედრო ნაწილის ასაღებად წავიდნენ ქართველი პატრიოტები, რატომ უნდა ყოფილიყვნენ მათ შორის უიარაღონიც? ძიების დამთავრებამდე, იძულებულნი ვართ ამ კითხვასთან დავსვათ წერტილი. ტრაგედიის შედეგი ასეთია —

13 ივნისს დაიღუპა 20 ადამიანი.

14 გვარდიელი, ერთი გორის მოქალაქე. 5 ადამიანია მოკლული სამხედროთა მხრიდან, ამ ხუთიდან 3 არასამხედრო პირია, ეს უკანასკნელნი, თუ ვისგან ნასროლი ტყვიის მსხვერპლნი გახდნენ, ჯერჯერობით არც არის დაზუსტებული, სავარაუდოა ისევ ჯარისკაცების მხრიდან, რადგან რა მიმართულებითაც ისროდნენ, ისინი იმ ტერიტორიაზე არიან დაღუპულნი.

სამხედროთა მხრიდან დაჭრილია 7 კაცი, გვარდიისა და მშვიდობიან მოქალაქეთა მხრიდან 60.

ქალაქის ქუჩებში ტანკებით „სეირნობის" შედეგად განადგურებულია მშვიდობიან მოქალაქეთა 30-მდე მანქანა. დაცხრილულია შენობები, განადგურებულია ანძები.

ბოლმითდამხრჩვალი ხალხი ცდილობს დაიოკოს ბალღამი, რათა აგრესორმა მთელი ქალაქი არ ჩააგდოს იმ დღეში, რაც სამშობლოსთვის თავგანწირულ ბესიკ ქუთათელაძესა და მის ბიჭებს დამართა...

ნოდარ თორელი

შიდა ქართლში მიმდინარეობს ომი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. ეს არ არის ეთნოკონფლიქტით გაპირობებული შუღლი, ამ ომს უფრო ფართო მასშტაბი აქვს. მოწინააღმდეგე მხარეს ოსებთან ერთად დგანან რუსი მოხალისეები. მოწინააღმდეგე მხარეს იარაღით ამარაგებს რუსეთი.

ასე რომ, რამდენიმე ასეული ქართველი ვაჟკაცი ფაქტიურად ებრძვის რუსეთის იმპერიას.

ეს ვაჟკაცები არიან გვარდიელები, ბიჭები, რომელთაც აღმოაჩნდათ ძველქართული მეომრული, მხედრული სული.

ბიჭები, რომელნიც ყოველდღე ესალმებიან წუთისოფელს მტრის ტყვიისაგან განგმირულნი.

ბიჭები, რომელნიც დღეს ერთადერთი იმედნი არიან ფრონტისპირა ქართული სოფლების მშვიდობიან მაცხოვრებელთათვის.

# ნუ ჩავუკლავთ ბიჭებს მეომრულ სულს

რა ხდება ამ დროს თბილისსა და, გნებავთ, დანარჩენ საქართველოში?

რიგით მოქალაქეებს ყურთბალიშზე გვძინავს.

პრესა და ხელისუფლება ერთმანეთს ვეჯიბრებით, როგორ გავუტეხოთ გვარდიას სახელი.

თბილისის ქუჩებში „მოსეირნე" ქურდბაცაცა ავტომატიანების ცოდვებს მექანიკურად ვავრცელებთ გვარდიაზე და იქ ის ბიჭები ჩვენი სიტყვის გამგონენი, ბოლომით გულზე სკდებიან.

ისინი ჩვენგან მიტოვებულნი არიან ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

არ ჰყოფნით მანქანები, რითაც შეიძლება დაჭრილების გამოყვანა და სასწრაფოდ მოთავსება საავადმყოფოში. დაჭრილები გადმოჰყავთ ზურგით.

ბევრი არასასიკვდილოდ დაჭრილიც კი, ზოგჯერ იღუპება უპატრონობით, უწამლობით.

ეს „ჭურდი" გვარდიელები საკუთარი ხელფასიდან აგროვებენ თანხებს ტყვია-წამლის შესაძენად.

მიცვალებული გვარდიელების გასაპატიოსნებლად ისევ გვარდიელები ზრუნავენ, ხელმოკლე ოჯახებს საკუთარი ხელფასიდან შეგროვილი თანხით ეხმარებიან.

წინა ხაზზე მდგარი გვარდიელები თვალს ატყუებენ ღია ცის ქვეშ, პირდაპირ მინდორზე თუ სანგრებში.

ისინი მაინც მედგრად დგანან, ისინი სამშობლოსათვის იბრძვიან და ეს რწმენა მატებთ ძალას.

ნუ ჩავუკლავთ ბიჭებს მეომრულ სულს. ამოვუდგეთ მხარში ყოველმხრივ.

ალბათ, ის დროც დადგა, რომ გვარდიის ანგარიშზე შეიქმნას საქველმოქმედო ფონდი, სადაც ყველა ქართველი გადარიცხავს მისთვის შესაძლებელ თანხას.

ეს მებრძოლ გვარდიელთათვის მორალური მხარდაჭერაც იქნება და მატერიალურიც.

თუმცა, პირადად ისინი ჩვენგან არაფერს ითხოვენ, გარდა იმისა, რომ დაუმსახურებლად არ ვლანძღოთ მაინც...

ნ. თ.

# მივხვდი, განწირული ვიყავით

## (აფეთქება დღისით, მზისით, შუაგულ ქალაქში)

ჩემი კორპუსი ჩიქოვანის ქუჩის სწორედ იმ მონაკვეთს დაჰყურებს, 13 ივნისს ტერორისტებმა რომ ამოიღეს მიზანში.

მე ჟურნალისტი ვარ და თავს უფლებას არ მივცემ შევიდე იმის გარჩევაში, ვინ ჩაიდინა ეს ბარბაროსული აქტი (ეს იურისტების კომპეტენციაა). ერთს ვიტყვი მხოლოდ ტერორისტული აქტის ორგანიზატორებისა და აღმასრულებლებისათვის, როგორც ჩანს, მიზანი იმდენად დიდი და სასურველი ყოფილა, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის გაწირვა არად მიიჩნიეს. სხვაგვარად როგორ ვიფიქრო იმ საზარელი ფაქტის მხილველმა და მორალურ-ფსიქოლოგიურად ტრავმირებულმა.

შაბათ დილას სარეცხის გამო დილიდან აბაზანაში ვტრიალებდი, უეცრად გაიხსნა აბაზანის ფანჯრები, თვალისმომჭრელად განათდა, დაიქუხა, თვალებში კვამლი მეცა და თავზე თაროებიდან გადმოცვენილი საგნები დამეყარა. გაოგნებული გამოვვარდი, მეგონა სახლში აფეთქდა რაღაც. რამდენადაც მახსოვს, გამაყრუებელი გრგვინვა ერთმანეთს მოჰყვა. ერთდროულად გაიღო ყველა კარადის კარი, ზრიალით მოდიოდა მინები. მეუღლემ ხელი ჩამავლო და კუთხეში მივიყუჟეთ (შვილები შინ არ იყვნენ).

— გვბომბავენ — თქვა მან.

— ყველაფერი დამთავრდა — ვუთხარი მე, რადგან მივხვდი განწირული ვიყავით.

ის, რასაც ახლა ვყვები, მოხდა წამებში, შეიძლება ითქვას, თვალის დახამხამებაში.

გონს განწირულმა კივილმა მომიყვანა. აივანზე გავვარდით, ბარაკული ტიპის სახლებს მტვრის ბუღი ასდიოდა, ყოველი კუთხიდან მორბოდა აწიოკებული ხალხი, მამაკაცებს ნანგრევებიდან გამოჰყავდათ მოსახლეობა. ქუჩაში ბოლავდა მანქანა-მაცივარი, ბოლავდა გზად მიმავალი წითელი ჟიგული (როგორც შემდეგ გავიგე, მძღოლი გადარჩენილა) ქუჩის მეორე მხარეს მდგარ კორპუსს კარფანჯრები აღარ შერჩენოდა, აივნებიც დეფორმირებული იყო, ფანჯრები ჩამსხვრეოდა როგორც ჩვენს, ისე ირგვლივ მდგარ სხვა საცხოვრებელ ბინებს. ადგილზე მისულმა კი ვნახე მავთულის ღობეზე შერჩენილიყო გარდაცვლილი მამაკაცის ცალი ფეხსაცმელი და შავი ნაჭრის ჩანთა, მოშორებით ბოლავდა დანაღმული მანქანის რაღაც ნაწილი. ასფალტი მოსვრილიყო სისხლით...

ისტერიული ტირილი ამივარდა. იგივე დაემართა ბევრს, ძალიან ბევრს, ვინც შეესწრო, ვინც საკუთარი თვალით იხილა ულმერთოდ დაფლეთილი, სრულიად უდანაშაულო ადამიანები.

რუსუდან ლორთქიფანიძე

# პასუხი გაზეთ „ქართული კულტურის" მთავარ რედაქტორს

ბატონო თეიმურაზ, თქვენს გაზეთში თქვენივე ხელმოწერით გამოქვეყნებულ წერილთან დაკავშირებით, რომელშიც განაწყენებული მომმართავთ, „მაქვს პატივი, გაუწყოთ" შემდეგი —

კოლექტიური წერილი, რომელიც გაზეთ „საქართველოში" დაისტამბა და რომელსაც ხელს აწერენ ხელოვნებათმცოდნეები, გახლავთ არა გაზეთ „ქართული კულტურის" წინააღმდეგ მიმართული, არამედ გამიზნულია საქართველოს კულტურის ყოფილი მინისტრის-ედმონდ კალანდაძის დასაცავად, ამასთან, რაკი ე. კალანდაძისთვის თქვენს გაზეთს უტკენია გული, ბუნებრივია, მისი დამცველნი თქვენც გადმოგწვდნენ...

კოლექტიური წერილი — ეს სინტაგმა, რომ უსიამო ასოციაციას აღძრავს ჩვენს სინამდვილეში, ამაში გეთანხმებით, მაგრამ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა.

თუ, როგორც წესი, კოლექტიური წერილის ავტორები (მით უფრო მანდილოსნები) სხვას ესხმიან ხოლმე თავს, ამჯერად, პირიქით, ხანდაზმულ მხატვარს იცავენ, რაც ადამიანურად ჩემთვის და თქვენთვის მოსაწონი ფაქტი უნდა იყოს. სხვათა შორის, გაზეთ „საქართველოში" თუკი ოდესმე ამ ხასიათის წერილი გამოქვეყნებულა, მუდამჟამ ვიღაცას ვიცავდით და არა პირიქით...

ახლა იმის შესახებ, თუ რატომ დავბეჭდე გაზეთ „ქართულ კულტურაში" გამოქვეყნებული მასალის პასუხი გაზეთ „საქართველოში".

ფაქტია, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა დაცვა დღეს ისევე უსიამო საქმედ მიაჩნია მავანს, როგორც უსიამო იყო მისთვის მათი კრიტიკა იმ ხელისუფლების ზეობის ჟამს...

მე ასე „წაღმართად" ცხოვრება მიჭირს და ამიტომ, როცა იერარქიის მაღალ კიბეზე ისხდნენ, ხელისუფალთათვის არაფერი დამითმია, ახლა კი, ბრძოლის შემდეგ, როცა სხვებმა გააგრძელეს მათ წინააღმდეგ მედგარი შემართებით გამოსვლები, ამ მეათცამეტე ჟამის მუშაკებთან ფერხულში ჩაბმა მიჭირს...

ეს ისე, ლირიკულ გადახვევად ჩამითვალეთ. მეათცამეტე ჟამის მუშაკებში თქვენ არამც და არამც არ გგულისხმობთ, როგორც წესიერ კაცსა და რედაქტორს.

ერთი კია, როდესაც რედაქციაში პასუხი მოიტანეს მშვენიერმა მანდილოსნებმა, მისი წაკითხვის შემდეგ, პირველი, რაც მათ ვთხოვე, იყო ის, რომ ეს პასუხი თქვენივე გაზეთში დაესტამბათ. ამიხსნეს, რომ უკვე მოუმართავთ თქვენთვის და არ გინებებიათ მისი დაბეჭდვა. ვფიქრობ, მათი წერილის დასტამბვის შემთხვევაში (რომელსაც დაუბეჭდავი ნამდვილად არაფერი სჭირდა) თქვენი გაზეთიც მოიგებდა, ეს ყბადაღებული დემოკრატიაც და პასუხის დაწერაც მათთვის დაგჭირდებოდათ და არა ჩემთვის... მკითხველებსაც უკეთ გაარკვევდით საქმის არსში.

მე რომ თეიმურაზ მეტრეველს ვიცნობ, მგონია, ასეც მოიქცეოდა, ხელი რომ რაღაცას არ შეეშალა...

ახლა ის ვიკითხოთ, მეც რომ უარით გამესტუმრებინა ის 18 ხელმომწერი, რომელნიც თავიანთ სიმართლეში დარწმუნებულნი არიან სხვათა შორის, არც მთლად უსაფუძვლოდ, და მიმეცა საშუალება მათთვის, რომ ეფიქრათ — სიმართლის თქმის უფლებას არ გვაძლევენო, განა ამით 18 დაეჭვებულ პირს არ შევმატებდი იმ არცთუ მცირე რაოდენობას ადამიანებისას, რომელთაც ჩვენი დემოკრატობისა ისედაც ბევრი არა სჯერათ რა?

როგორც სიკეთეა გადამდები, ასევე გადამდები გახლავთ გაღიზიანებაც კაცთა შორის.

მე რომ ის თვრამეტ ქართველს გავაბრუნებდი გამწარებულს, ის გაღიზიანებული 18 მანდილოსანი სხვა 18 ქართველს გააღიზიანებდა, ისინი კიდევ სხვას და ა.შ.

არის კიდეც პერმანენტულად გაღიზიანებული და გაწიწმატებული მთელი საქართველო.

ჩვენ, ბატონო თეიმურაზ, მე და თქვენ, როგორც რედაქტორებს ის მისიაც გვაკისრია, რომ უსიამო ვნებები ჩავაცხროთ და არა გავაღვივოთ. ლაპარაკია იმ ხალხზე, ვისთანაც ადამიანური საუბარი ღირს, თორემ ვისთანაც არ ღირს, მათთან პოლემიკა როგორცაა საჭირო, არ უნდა მესწავლებოდეს...

ასეა ეს, ბატონო თეიმურაზ, ამ აზრით დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოში" აღნიშნული წერილი და ამ საუბრის შემდეგ, ვფიქრობ, ყოველგვარი ეჭვი უნდა გაგიქარწყლდეთ, მით უფრო, რომ პირადად პატივისმცემელი ვარ გაზეთ „ქართული კულტურისა" და მისი უფალი რედაქტორის.

ეს პატივისცემა თუნდაც ამ წერილიდანაც ჩანს. ასეთი დაშაქრული ტონით პოლემიკური ხასიათისა მე ჯერ, ვგონებ, არაფერი დამიწერია, ამიტომ თქვენს ადგილზე „ქართულ კულტურაში" ამ პასუხს გადავბეჭდავდი და ჰონორარით მის ავტორს გადავიპატიჟებდი...

შეხვედრამდე...

ნოდარ გრიგალაშვილი

# რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბ.ელცინს

მე, როგორც ქართველი, მადლობელი ვარ ჰუმანური ყურადღებისათვის, რასაც ჩვენი ქვეყნისათვის მწვავე ცხინვალის რეგიონის ქართულ-ოსური კონფლიქტის გამო იჩენთ. ამავე დროს, ისევ და ისევ, როგორც ქართველი, აუცილებლად ვთვლი, თქვენი ყურადღება მივაპყრო ზოგიერთ გამოთქმასა და აზრს თქვენსავე მიმართვაში „საქართველოს, სამხრეთ ოსეთის, რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის ხალხებისადმი", რომლებიც შეუთავსებელია ხალხების, მათი სახელმწიფოებისა და ამ სახელმწიფოთა მეთაურებს შორის ურთიერთპატივისცემის საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებთან. ხმარობთ რა გამოთქმას „სამხრეთ ოსეთი" საქართველოს ტერიტორიის ნაწილთან დაკავშირებით, რომელსაც 1922 წელს უცხოელმა, კერძოდ, რუსმა დამპყრობლებმა შეარქვეს „ოსეთი", თქვენც ამით ეთანხმებით უკანონო აქტს, რისი შედეგიც „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" გაუქმებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის დადგენილების თანახმად. ჩამოთვლით რა „საქართველოს, სამხრეთ ოსეთის, რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის ხალხები", ამით თქვენ არაპირდაპირად უშვებთ, რომ დამოკიდებულება საქართველოსა და „სამხრეთ ოსეთს" შორის იგივეა, რაც დამოკიდებულება რუსეთსა და „ჩრდილოეთს", ე.ი. ნამდვილ ოსეთს შორის. მაშინ, როცა სინამდვილეში მათ შორის პრინციპული განსხვავებაა, რამდენადაც ჩრდილოეთ ოსებისთვის რუსეთი მათ ქვეყანაში მოსულ სახელმწიფოდ ითვლება, სამხრეთელი ოსებისათვის კი საქართველო არის სახელმწიფო, რომელმაც ისინი მიიღო. როცა საუბრობთ „უკანონო, შეიარაღებულ ფორმირებებზე", როგორც სისხლისღვრის ფაქტორზე, თქვენ არ ახსენებთ ყველაზე უკანონო და იმავდროულად შეიარაღებულ ფორმირებათა შორის ყველაზე მძლავრს — ერთი სახელმწიფოს შინაგან ჯარებს (კერძოდ რუსეთის) სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე (კერძოდ საქართველოს), რომლებიც იქ იმყოფებოდნენ ამა წლის აპრილამდე, მხარს უჭერდნენ რა ბანდებს ცეცხლითა და მანევრებით მილიციის წინააღმდეგ (კერძოდ, ოსურ ბანდებს ქართული მილიციის წინააღმდეგ), ჯავშანმანქანებიდან და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლს უხსნიდნენ ქართულ სოფლებსა (კერძოდ, ქართულ სოფლებს თამარაშენიდან კეხვამდე) და მგზავრებს — გორის რაიონის ქართველებს. შესაძლებელია, თქვენ კანონიერად მიგაჩნიათ კონფლიქტის რეგიონში სნგ-ს ვერტმფრენებისა და მესანგრეთა პოლკების ყოფნა, რომლებიც ცეცხლს არ უხსნიან ქართველებს. თუმცა თქვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ ფაქტს, რომ ვერტმფრენები ქართული პოზიციების სისტემატურ შემოფრენას აწარმოებენ, ამ პოლკების შეიარაღება და საბრძოლო მასალები კი განუწყვეტლივ ავსებენ ქ.ცხინვალში ოსური ბანდების არსენალს. ამდენად, თქვენ ამაოდ იმედოვნებთ, რომ თქვენი ქვეყნის — რუსეთის, როგორც სნგ-ს შემადგენელი ნაწილის შეიარაღებული ძალის ხელები სუფთაა ორივე ეროვნების ბავშვების, ქალებისა და მამაკაცების სისხლისაგან, რომელიც რეგიონში დაიღვარა, ანდა უდანაშაულოა მიცვალებულებისა და დაჭრილების დაწვაში.

ამიტომ, თუკი რუსეთის ფედერაცია ნამდვილად არის მზად, სიტუაციის ერთობლივი რეგულირებისათვის ნებისმიერ ფორმით აღნიშნულ რეგიონში, როგორც თქვენ ამტკიცებთ თქვენს მიმართვაში, მას ევალება, უპირველეს ყოვლისა, შეწყვიტოს ოსი ბოევიკების, რუსი „ლეგიონერებისა" და სხვა მკვლელების შეიარაღება და აღკვეთოს მათი შემოსვლა რუსეთიდან საქართველოში და ოფიციალურად განაცხადოს, რომ „რუსეთის სამხრეთ საზღვრები" შეუძლებელია დაცული იყოს საქართველოს ტერიტორიაზე.

პატივისცემით
ნ.ნათაძე

საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის პრობლემების სპეციალური სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე

# მისაბაძი მაგალითი

## სამაჩაბლოდან ლტოლვილი ბავშვებისათვის

საფირმო-საწარმოო კომბინატმა — „სატევარი" და საფირმო-საწარმოო კომბინატმა „ადონისმა" გაიღო 150 კილოგრამი რძის ფხვნილი.

ფირმის წარმომადგენელმა ბატონმა გურამ ლარიბაშვილმა და შიდა ქართლის პრობლემების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ბატონმა ჰენრი კუპრაშვილმა ეს ნობათი გადასცეს ლტოლვილთა ოჯახებს. აღნიშნული პირები გვპირდებიან, რომ მომავალშიც აღმოუჩენენ სხვადასხვა სახის დახმარებას ლტოლვილებს.

ვფიქრობთ, ამ გულისხმიერებას ზემოაღნიშნული პირებისა შემძლე ორგანიზაციები გამოეხმაურებიან.

# „ახლა ყველანი უნდა დავდგეთ საქართველოსთან!“

## (ინტერვიუ კაცთან, რომელმაც დაწერა „ცისფერი მთები“ და სხვა ამბებიც)



**— ბატონო რეზო, თქვენი „ცისფერი მთები“ ფილმად რომ გამოვიდა, ყველას პირზე ეკერა — გარღვევა გვაქვს დეფიციტშიო. რა ისეთი გარღვევა აღმოგვაჩნდა დეფიციტში, რომ ვერა და ვერ მოწესრიგდა ჩვენი არეულ-დარეული ყოფა?**

— გამოთქმა „გარღვევა დეფიციტში“ ზუსტი არ უნდა იყოს. დეფიციტი და ისიც გარღვეული რაღა იქნება. გარღვეული და დაშლილი იყო მაშინაც ყველაფერი, მაგრამ ამას ვერ ვხედავდით. ჩვენ ვარჩენდით რუსებსო, ახლაც გაიძახის ზოგიერთი. ყვავს არ ჰქონდა და ბუს გაჰქონდაო, ისე იყო ჩვენი საქმე. შევინარჩუნოთ როგორმე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ეკონომიკური სტაბილურობა-მეთქი, დავწერე 1991 წლის იანვარში. ეგ არ მოეწონათ მომიტინგეებს, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოსო რომ გაჰკიოდნენ მხოლოდ. მაშინ მე პერსონა ნონ გრატა აღმოვჩნდი ქუთაისში: აი, რა მეწერა „მოწამეთაში“ (1991 წ. იანვარი):

„... საშიშია არ შეიქმნას არასტაბილური მდგომარეობა, რომელთანაც პირდაპირაა გადაჯაჭვული ეკონომიკა, ეკოლოგია და მართლწესრიგი. არა გვაქვს, არ გვყოფნის ელექტროენერგია, შეგვიწყვეტენ გაზს (ამის სიმპტომები უკვე არის) და ამას რა მოჰყვება, ძნელი წარმოსადგენი არაა: გაიჩეხება ტყეები, დაბინძურდება მდინარეები, დაშრება წყლები... ერთი სიტყვით, საქართველო განადგურდება [illegible] რებული და თავის [illegible] ქართველო ვერ წ [illegible] ა. იგი არც არავის [illegible]...

ს [illegible] თქვამის ციტირებ [illegible] კარგი საქმე (არც [illegible] ეს ჩამიდენია), მაგრამ ციტატა სიტყვას თუ შეკითხვას მოჰყვა და აქვე დავუმატებ: ბოლო წინადადება სწორი არაა. განადგურებული საქართველო არავის არ უნდა მეთქი, მცდარია. მტერს უნდა, სხვას თუ არავის და სამწუხაროდ, ძალიან სამწუხაროდ „მოყვარესაც“ სურს. ხეს უთქვამს, ცული რას დამაკლებს, ჩემი ჯიშის რომ არ ერიოს შიგო. ამჟამად გეგმაზომიერად, თანამიმდევრულად ანადგურებენ საქართველოს შინაური და გაგარეულებული ქართველები; გაჩაღებული აქვთ დაუნდობელი ომი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ეს არის გაუგონარი სინამდვილე კაცობრიობის ისტორიისათვისაც კი. გამოირკვა, გამჟღავნდა, რომ საქართველო (ბოდიშს ვიხდი გამოთქმისათვის) ფეხებზე ჰკიდიათ მავანთ და მავანთ. იმათ პირადი მიზნები, ამბიციები, პარანოიკული იდეები ამოძრავებთ მხოლოდ; მრავალთ მისტერიები თუ ისტერიები ელანდებათ კვლავ. მახსოვს და მესმის „...მოგილოცავთ საქართველოს გადარჩენას (?), ევროპის უდიდესმა სახელმწიფომ (?) გვცნო!“ „ვუცნივართ“ უკრაინას, რომელიც თავად არ ყოფილა „ნაცნობი“. არ ცნობდა ევროპა, ევროპის მთავარი სახელმწიფოები. თანაც „ცნობაც“ (ამ ცნების პირდაპირი მნიშვნელობით) ტყუილი აღმოჩნდა. და იყო ღამით ღრიალი, ცეკვა-თამაში, გამომსვლელთა ყალბი პათეტიკა.

აგერ ახლახანს ოფიციალურად, რეალურად გვცნო მსოფლიოს უდიდესმა სახელმწიფომ, პლანეტის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხის ქვეყანამ — ჩინეთმა. ახლა რატომ არ ცეკვავენ, რატომ არ მღერიან „ცანგალა და გოგონას“ არაბუნებრივი ხმით?! ეს ფაქტი არაფრის მთქმელია?!

„ჩვენი არეულ-დარეული ყოფა“ კი კარგახანი არ მოწესრიგდება. პროგნოზი (ესეც ითქვა) ასეთია: 1992 კრიზისული, გადასატანი წელია, 93 წლიდან დაიწყება გარდამავალი პერიოდი, 1995 წლიდან უკეთესობას ვიგრძნობთ, იმ საუკუნიდან დავემსგავსებით (ჰკუასთან ახლოა) ნამდვილ სახელმწიფოს.

**— თქვენ მომდევნო თაობის მწერალთათვის იმ მხრივაც ხართ სამაგალითო, რომ ზოგიერთებივით კი არ გაპოლიტიკოსდით, არამედ პოლიტიკასთან მიმართებაშიც მწერლად დარჩით. როგორია თქვენი, მწერლის თვალით დანახული ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა, რა მოგწონთ, რას იწუნებთ, საით უნდა წავიდეთ, სწორად მივდივართ, საითაც მივდივართ?**

— საით უნდა წავიდეთ, სწორად მივდივართ, საითაც მივდივართ? მივდივართ თუ მივყვებით დინებას? დინების საწინააღმდეგოდაც მივცურავდით და ღვთის რისხვაც დაგვატყდა. ახლა მივყვებით დინებას, მაგრამ რამდენად მარჯვედ და მოხერხებულად, ვერ გეტყვით. სად გაგვრიყავს, სად ჩაგვიყვანს ჩვენი ისტორიის ტივი, ძნელი სათქმელია. ჩვენ გლობალურ პროცესებში, კატაკლიზმებში ვართ ჩართული და ბევრი რამ ჩვენი გადასაწყვეტი არაა, კაცობრიობას განვითარების პროცესებზე, ციური სხეულების მოძრაობაზეც ვართ დამოკიდებული. ბოროტების იმპერია (კანონზომიერი მოვლენაა) იშლება და დაშლის პროცესი, ძნელი მისახვედრი არაა, მტკივნეული იქნება.

დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს და საკუთარი ღერძის გარშემოც ტრიალებს... საერთო-საკაცობრიო პროცესებში ვმონაწილეობთ და ერთმანეთსაც ვებრძვით. მარტო ტერორისტულ აქტებზე, ბომბების სროლაზე, ხიდებისა და ლიანდაგების აფეთქებაზე არაა საქმე. გაჩაღებულია იდეოლოგიური ბრძოლაც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, უზნეობა განუკითხაობაში, სისასტიკეში, ნგრევაში, ქაოსში გადაიზარდა, ეს პროცესი ღრმავდება. ხელისუფლ[illegible] ამას ხედავს, არ იბრძვის, როგორც საჭიროა, თუ ვერ იბრძვის და საზოგადოებას აპათია დაეპატრონება მალე. დემოკრატიის გათამაშება აუცილებელიც კია, მაგრამ დემოკრატიით თამაშს კოჭით თამაში ჯობია. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 13 ივნისის ნომერში (დიდი აფეთქების დღეს) გამოქვეყნდა თავზარდამცემი სტატია სათაურით „**მთელ ქვეყანას უყვარხარ**“, სადაც სტალინის გენიალობაზე, გენიოსობაზე, სტალინის საქართველოში, კერძოდ გორში (ავტორს კი ჰგონია, მაგრამ ორიგინალობით ვერ დაიკვეხნის) გადმოსვენებაზეა ლაპარაკი. გასარკვევია, სტატია უგუნურობის, უვიცობის შედეგია თუ შორს გამიზნული პროვოცირების მცდელობაა. პროგრესულმა კაცობრიობამ დაგმო ლენინიზმი, სტალინიზმი, ჰიტლერიზმი, მრავალი იზმი და ჩვენ ახლა სიამაყით ვაცხადებთ: სტალინის მშობელი ერი ვართ, სტალინი ნამდვილი ქართველია და სხვა. ეს იმ დროს, როცა ვეზიზღებით მრავალთ სტალინისათვის, ეს იმ დროს, როცა სისხლი იღვრება შიდა ქართლში, გორში, სადაც „დიდი ბელადის“ ჩამოსვენება გადაუწყვეტია სტატიის ავტორს. საქართველოსთან მებრძოლი ბატალიონები ყალიბდება კავკასიის მთიანეთში; ხალხები, რომლებიც სტალინმა გაასახლა სამშობლოდან და ჩახოცა შუა აზიის უდაბნოში, აგრესიულად არიან განწყობილი ჩვენს მიმართ და, სტალინის და ბერიას ხსენებაზე აკანკალებთ. იმათ და სხვებს, თუნდაც რუსებს, როცა ჩვენი ყოფნა-არყოფნის ბედი წყდება, შეხსენება ჭირდებათ, რომ ჩვენ სტალინის მშობელი ერი ვართ?! 1990 წლის არჩევნებში, როცა კანონიერად გაიმარჯვა მრგვალმა მაგიდამ და კომუნისტებმა და დაგმეს (იმათაც კი) სტალინიზმი, საზოგადოება „სტალინს“ არჩევნებიდან ამოუკვეთეს ფეხი და ახლა სტალინის და ბერიას ნოსტალგია აწუხებს ზოგიერთს. უკვე აშკარად იკვეთება პრესაშიც კი მათი რეაბილიტაციის მცდელობა. თუ ხსენებული სტატიის ავტორივით აზროვნებს თუნდაც ნაწილი ქართველი მოსახლეობისა, ჩვენ არ ვყოფილვართ სასიცოცხლო ერი და დიდი დღე არ გვიწერია. ტრაპიზონი თურმე (ამავე სტატიის მიხედვით) საქართველო ყოფილა. იგი ბიზანტიის, ოდესღაც ჩვენი გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნის ტრაპიზონის და თურქეთის სახელმწიფოს ქალაქად იყო ცნობილი, მაგრამ ავტორს სხვა, მისთვის სასურველი, საბუთიც აქვს, როგორც ჩანს, თავის გამოჩენისა და უკვდავების მანია ამოძრავებს, მაგრამ როცა ქართულ ძირძველ მიწებს (შიდა ქართლს, აფხაზეთს) გვედავებიან, მეზობელი თურქე[illegible] გადამტერება გვჭირდე[illegible]?! ეს ხომ ტერიტორიული [illegible]ეტენზიების გამოცხადების [illegible]ცდელობაა. ვიღაც-ვიღაცეე[illegible] ისევ და ისევ თვითიზოლაციისაკენ მიგვაქანებენ, ახლადშობილის საშოში შებრუნებას აპირებენ. ასეთია მწარე სინამდვილე და ეს მარტო „დეფიციტში გარღვევით“ არაა გამოწვეული. სახუმროდ აღარაა საქმე. ჩვენი სიგლახით გავამჟღავნეთ თავი და ახლა საკითხავია, გვაქვს თუ არა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის საშუალება, ცივილიზებულ სამყაროში არსებობის უფლება?!

თქვენი ბოლოსწინა შეკითხვაა, რას ჰკითხავდით საკუთარ თავსო, არაფერს განსაკუთრებულს, მაგრამ რომ დაინტერესებულიყავით, მომწონს თუ არა დღევანდელი პოლიტიკა (არც მაინცდამაინც), უჭერთ თუ არა მხარს დღევანდელ ხელისუფლებასო, გიპასუხებდით: მე მხარს ვუჭერ რეალურ ხელისუფლებას არჩევნებამდე. ყოველგვარი ძალადობის, მითუმეტეს სისხლისღვრის, რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს იგი, წინააღმდეგი ვარ, მოსახდენი (რაც მოხდა) სხვანაირად მომხდარიყო ჯობდა, მაგრამ უკვე ფაქტის წინაშე ვდგავართ და ახლა საქართველოზე, ქართველ ხალხზე უნდა ვიფიქროთ. ყველანი, დამნაშავენი, უდანაშაულონი, ცოდვილნი, უცოდველნი, ადრე თუ მალე, არჩევნებამდე თუ არჩევნების შემდეგ წავლენ ხელისუფლებიდან, ყველანი წავალთ საპოლიტიკო ასპარეზიდან, ამა ქვეყნიდანაც, დღეს თუ ხვალ: ასეთია მოძრაობის კანონი და მოვა ახალი თაობა, ახალი იდეებით, სუფთა ხელებით, ნათელი მიზნებით. საქართველო იყო, იქნება და ახლა ყველანი უნდა დავდგეთ საქართველოსთან!

**— თავის დროზე თქვენი ნოველა, „ნობელი“ რომ წავიკითხე — აი, სოფელ ბუყნურში მცხოვრები ადამიანები შორიახლოს რომ იფეთქებენ დინამიტებს ნიძლავზე, პურმარილზე და სულ არაფრის გამოც, რა დასამალია და, ცოტას ხომ არ აჭარბებს მეთქი, ასე გავიფიქრე. ისე აგხდომოდეთ ყველაფერი, როგორც ის ამბავი ახდა — მარტო დინამიტებს კი აღარ ვაფეთქებთ, ავტომატის და სხვა, უფრო მძიმე იარაღის ხმარებაც ვისწავლეთ, ჩვენ ყველანი იმ ბუყნურელებს ხომ არ დავემგვანეთ?**

— სხვის ომში არამარტო სიბრძნით, სისასტიკითაც გამოვირჩეოდით. ეს ისტორიითაა დადასტურებული. ერთმანეთთან ომი, ერთმანეთის ხოცვა გვეხერხება. ამას ვხედავთ და ისტორიაში წასვლა არ გვჭირდება. საქართველო ახლა ერთი დიდი ბუყნურია, სადაც ხშირად ისმის სროლის ხმა. წლევანდელი ახალი წლის ღამის გახსენებაც კმარა. ჩვენ სიმამაცეს, გამიზნულ და უმიზნო სროლებს განაპირობებს ტყვია-წამალი და იარაღი, რომლებსაც გარედან გვირიგებენ (ბოლო მონაცემებით, თურქეთიც გვპირდება), თქვენ ოღონდ ერთმანეთი ხოცეთ, ლულებს ყელი არ გაუციოთ და ჩვენ ვიცითო, რომ გვაიმედებენ. „ბუყნურში“ დიდი რაოდენობაა იარაღისა და ტყვია-წამლისა. იგი გაიზრდება იარაღის საშინაო მოხმარებით და არა წარმოებით. ყველა მონაცემის მიხედვით მალე გავუსწრებთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

**— ბატონო რეზო, თქვენს ბევრ ნაწარმოებთა მიღმა, რა გეოგრაფიული დასახელებაც არ უნდა მოიგონოთ, ქუთაისი — თქვენი მშობლიური ქალაქი დაილანდება, თავისი განუმეორებელი კოლორიტით, ლაღი იუმორით, სევდიანი ღიმილით. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ხასიათი ხომ არ შეუცვალა მათ?**

— ბოლოდროინდელმა მოვლენებმა და დღევანდელობამ ხასიათი შეუცვალა, ცხადია, ქუთაისი დაღონებულია. კოშმარული ზამთარი გადაიტანა, შიშით ელოდება ახალ ზამთარს, გარდამხდა გარდასავალი, უფრო უარესს მოველიო, მაგრამ ღიმილი რჩება, ღიმილიც მარადიულია და იგი იქნება, ქუთაისს კი უარესიც უნახავს. ამაზე გეგუთის ციხედარბაზისა და ქუთაისის დიდი ბაგრატის ტაძრის იავარქმნილი კედლებიც მეტყველებენ. რამდენიმე საუკუნის წინ, ისტორიისათვის სულ ახლახან, პოეტმა მეფემ არჩილმა, სხვების დახმარებით, რასაკვირველია, თავადვე დაანგრია ქუთაისი. იგი დაახლოებით შვიდჯერ გამეფდა და შვიდჯერ „გადავარდა“ სამეფო ტახტიდან. საკუთარი სამეფოს, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მებრძოლ მეფეს (გინდა თუ არა, მე უნდა ვიჯდე სამეფო ტახტზეო) არ ეყო გონიერება, არ აღმოაჩნდა დათმობის, თავგანწირვის (სიგლახისა და სიკეთის სამაგალითოდ წინაპართა გახსენებაც გამოდგებოდა) უნარი და როგორც მოსალოდნელი იყო (ცოდვებიც გამოისყიდა ნაწილობრივ) უცხოეთში დალია სული.

**— თქვენი ცრემლიანი სიცილი, რომლის ფესვებიც ჩვენი ეროვნული ყოფის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან მიმართებაშია საძებნი, გვამაღლებს, მხარში გვიდგას, უკეთესობისკენ მოგვიწოდებს. ამ თქვენს ტრაგიკომიკურ ნაწარმოებებს რომ ჩაუღრმავდება მკითხველი, ასეთი შეკითხვა გაუჩნდება — რა დაემართა, რა სჭირს მეოცე საუკუნის ქართველ ადამიანს?**

— რაც [illegible] სჭირს... თავდება ეს საუკუნეც, რამდენიმე წელიღა დარჩა იქედან აქეთ გადმოსახედად (მანამდე კარგად ვიყოთ) და მაშინ მეტი დრო დაგვრჩება საფიქრალად, დაკვირვებისა და განსჯის საშუალებანიც მეტი იქნება.

**— ბატონო რეზო, გაზეთ „რუბიკონის“ ამა წლის მე-14 ნომერში დაიბეჭდა თქვენი ინტერვიუ, სადაც შეკითხვაზე — „რა გადაგვარჩენსო“, ასეთი რამ ბრძანეთ — „ჩემი აზრით, გამოსავალი თავისთავად უნდა გამოჩნდეს, ან მოვიდეს დროებითი, ადგილობრივი დიქტატორი, როგორც პინოჩეტი მივიდა ჩილეში..“ ამას სერიოზულად ბრძანებთ თუ?-**

— როგორც ჩანს, სერიოზულად.

ეგ შეიძლება აუცილებელიც კია.

რეალობა, ჩვენი ყოფა, ჩვენი ხასიათი, ცხოვრების წესი, მონობაში ხანგრძლივად (თუ მუდმივად არა) ყოფნის ფსიქოლოგია ამას გვიკარნახებს, მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს დიქტატურისაგან. ნამდვილი და დროებითი ძლიერი ერთმმართველი კი გარდამავალ პერიოდში ნამდვილად გვჭირდება.

ჯერ გასარკვევია, შევინარჩუნებთ თუ არა სახელმწიფოებრიობას, თუნდაც იმას, დღესდღეობით რაცა გვაქვს. ამ ეტაპზე კი ერთმმართველია საჭირო და ღვთის მადლით, გვყავს კიდეც ამნაირი კაცი. ორმმართველობას კი (ოთხეულზე აღარაფერს ვამბობ) სიკეთე ჯერ არ მოუტანია.

**— თქვენ დავით კლდიაშვილის მემკვიდრეობის ღირსეული გამგრძელებელი ხართ, მწერალი, ვისი სტილური, კომპოზიციური თუ სხვა რამ თავისებურებები, სხვა რიგიან მწერლებთან ერთად, უნდა შეისწავლოს ყველამ, თუკი რაიმე სერიოზულის გაკეთებას აპირებს პროზაში. თქვენი აზრით, როგორია ქართული პროზის მომავალი, გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები?**

— დავით კლდიაშვილი 24 აპრილს მიიცვალა და 24 აპრილს დავიბადე (წელი არ ემთხვევა) მე. ციფრების მწამს (ნაწილობრივ) და ეს მაინც არაფერს მიანიშნებს. მიყვარს და ვაფასებ დიდად... ვრცელი წერილის (პატარა დაწერილი მაქვს) გამოქვეყნებას ვაპირებ, პირდაპირ და უშუალოდ კი, ვფიქრობ, დიდ მწერალთან არაფერი მაკავშირებს...

ქართული პროზის მომავალი საქართველოს მომავალზეცაა დამოკიდებული. ნიჭიერი ახალგაზრდები გამოჩნდებიან, თუკი ისინი ჯერ არ გამოჩენილან, არიან და არ ჩანან, უფრო სწორად, ვერ ვამჩნევთ, ისე, როგორც ვერ გვამჩნევდნენ ჩვენ, როცა უნდა შევემჩნიეთ ზოგიერთებს (სუყველას სახელით ვერც ვილაპარაკებ, მაგრამ ასეც იყო).

**— რას ჰკითხავდა ბატონი რეზო ჭეიშვილი საკუთარ თავს და როგორ უპასუხებდა?**

— ამაზე უკვე გიპასუხეთ.

**— თუ საიდუმლო არ არის, რა ნაწარმოებს უნდა ველოდოთ თქვენგან?**

— ველოდოთ უნდა. დასაწერი და სათქმელი ბევრია. შეძლებაზეა. გამაკეთებია ნეტავ ის, რისი გაკეთებაც ჯერ კიდევ შემიძლია. დავასრულე ვრცელი ნაწარმოები „კუდიანი ვარსკვლავი“, საინტერესო მგონია... წიგნად გამოვიდა და მალე გაიყიდება „რკინის სახკომი“. იგი სერგო ორჯონიკიძის უკუღმართ და ტრაგიკულ ცხოვრებაზეა დაწერილი.

ესაუბრა
მიხო მოსულიშვილი

# «უფასო ლექციას ფასი არა აქვს!»

დავით თევზაძე

„უფასო ლექციას ფასი არა აქვს!“ — მოსწრებულად წარმოთქვა ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში გამოჩენილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ ნიკო კეცხოველმა და შესაძლებელია ამ ფრაზით მან სწორად (ან ნაწილობრივ სწორად) გამოხატა უფასო სწავლებისადმი საზოგადოების ინდიფერენტული დამოკიდებულება; საყოველთაოდ ხომ ცნობილია ადამიანისა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ფსიქოლოგიური განწყობა ყოველივე იმისადმი, რაც მას უფასოდ ეძლევა. წყალი და ჰაერიც კი, რომლებიც ჩვენთვის უზრუნველად უბოძებია ბუნებას, დაუფასებელია და გასაკვირი როდია, როცა სტუდენტთა დიდი ნაწილი უფასოდ შეთავაზებული განათლებისადმი ინტერესს არ ამჟღავნებს.

უფასო სწავლების პრესტიჟი განსაკუთრებით დაეცა განათლების საბჭოური სტრუქტურების პერიოდში; ეკონომიკურად გაღატაკებული სახელმწიფო ვერ აკმაყოფილებდა არა მხოლოდ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის საჭირო სასწავლო პირობებს (სასწავლო შენობა, კაბინეტები, სხმუშაო ლაბორატორიები და ტექნიკური საშუალებები), არამედ ვერც პროფესორ-მასწავლებელთა მინიმალურ მოთხოვნებს.

დღეს ჩვენმა ხალხმა უარი განაცხადა ე.წ. „სოციალისტურ — საბჭოურ“ წყობილებასა და მის სტრუქტურებზე; უმაღლესი განათლების პრობლემებიც მჭიდროდ დაუკავშირდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარების გზებს და საქართველოში ამჟამად მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების პირობებში სავსებით კანონზომიერად გვესახება კომერციული სწავლების წამოწყება. ისე, როგორც საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურები ვერ იტანენ ზემოდან ჩარევას და, გვინდა —არ გვინდა, სტიქიურად მიიკვლევს გზას, ასევე დაუმორჩილებელი ხდება განათლების საქმეც. თუ ხელოვნურად დავუპირისპირებთ მას ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს, დიდად დავაბრკოლებთ, რაც თანდათანობით შეაფერხებს ცხოვრების აღმასვლას.

ჩვენი ეროვნული მოძრაობის უდავო მონაპოვარია, რომ გზა გაეხსნა კომერციული ანგარიშგებით უმაღლესი განათლების საქმეს. ეს იყო მეტად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა განათლების დარგში და ჯეროვნად უნდა დავაფასოთ; შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ჩვენში ეს გაბედული წამოწყება დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელთან.

სამწუხაროდ, ბოლო ხანს გაისმის ხმები კომერციული უმაღლესი სასწავლებლების არა მხოლოდ შეზღუდვის, არამედ აკრძალვის თაობაზე. ზოგი მიზეზად ასახელებს კადრების სიჭარბეს, რაც თითქოსდა გამოიწვევს პედაგოგთა უმუშევრობას. ზოგი ჩივის ლექტორ-მასწავლებელთა დაბალ დონეზე, ზოგი საბიუჯეტო „უმაღლესი სასწავლებლებიდან პედაგოგიური კადრების დენადობაზე კომერციულ სასწავლებლებში. ზოგსაც კი ეს სასწავლებლები მხოლოდ „მაღალი ხელფასების“ მისაღებ დაწესებულებებად მიაჩნია, ზოგი კიდევ რას ამბობს და ზოგი რას...

პრესის ფურცლებიდან გაისმის მუქარა ფასიანი უმაღლესი სკოლების დახურვის შესახებ, ნაცვლად სწავლების ამ ფორმის წახალისებისა და მისადმი დახმარებისა და ხელისშეწყობისა, რაც უარყოფითად მოქმედებს სწავლის დონეზე, დისციპლინაზე. იმის მაგიერ, რომ პრესა და უმაღლესი განათლების სათანადო განყოფილება პროგრამებით, მეცნიერული და მეთოდური ლიტერატურით თუ კონსულტაციებით მხარში დაუდგეს ახალ საქმეს, თავიდანვე ამჟღავნებს „კრიტიკულ“ დამოკიდებულებას ამ სასიკეთო წამოწყებისადმი (გამონაკლისია პროფ. ნოდარ კირვალიძის წერილი— (იხ.“საქართველოს რესპუბლიკა“, 4 ივნისი, 1992წ.).

ბატონი ნ.ქარქაშაძე, უმაღლესი სკოლის ეს ღვაწლმოსილი მუშაკიც კი, სწავლების ამ ფორმას „ნაადრევსა და საზიანოსაც“ კი უწოდებს (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 8 აპრილი), მაგრამ საყურადღებოა, რომ ამავე წერილში იგი მოითხოვს თავის უნივერსიტეტს უფლება მიეცეს კომერციული სწავლებისა „გარკვეული რაოდენობით“ (ცოტა უხერხულად ხომ არ გამოგივიდათ, ბატონო ნაპოლეონ! ის, რაც სხვებისთვის „ნაადრევიცაა და საზიანოც“, თქვენთვის როგორღა მიგაჩნიათ სასურველად?).

განათლების დარგში კარგად ჩახედული კაცისათვის კი აშკარაა, რომ კომერციული სწავლების მოწინააღმდეგენი ან ტენდენციურნი არიან ან ვერ სწვდებიან პრობლემების არსს. ისინი კერძოდ, არ ითვალისწინებენ შემდეგს:

პირველი. კომერციული სწავლება ემყარება კერძო ინიციატივას (ერთი მხრით, აბიტურიენტი და მისი ოჯახი, მეორე მხრივ, კომერციული სასწავლებელი), რომლის შეჩერება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ვფიქრობ, პიროვნების უფლებათა ხელყოფადაც ჩაითვლება.

მეორე. კომერციული სწავლების წესდება სასწავლებლის ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს პედაგოგიური კოლექტივი დააკომპლექტოს ისეთი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტებით, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ საბიუჯეტო უმაღლეს სკოლებს; პროფესურაც, თავის მხრივ, რახან იგი შეზღუდული არაა ოფიციალური დირექტივებით, თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს ჩააქსოვს სწავლებაში: შეიმუშავებს „საკუთარ პროგრამებს“, მიმართავს სწავლების „საკუთარ“ მეთოდებსა და ხერხებს, ერთი სიტყვით, შექმნის „საკუთარ სკოლას“, რომელიც ბიძგს მისცემს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების კათედრებს. გასათვალისწინებელია ერთი ფსიქოლოგიური მომენტიც: სტუდენტმა იცის, რომ იგი არც პროტექციით ჩარიცხულა, არც ქრთამით და თუ არ ისწავლა, დადებით შეფასებას ვერ მიიღებს. ამიტომ ინტერესით ეკიდება სწავლას, (რაც ჩვენს დროში ცოტას როდი ნიშნავს).

დიდი მორალური მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ზოგიერთი კომერციული სასწავლებლის რექტორი ობლებს ათავისუფლებს სწავლის ქირისაგან, ხოლო წარჩინებით დამთავრებულს პირდება სწავლის გაგრძელების შემთხვევაში სტიპენდიას და ა.შ.

მესამე. კომერციული ინსტიტუტი უზრუნველყოფს სტუდენტი ახალგაზრდობის დიდი ნაწილის დარჩენას თავისივე საცხოვრებელ რეგიონებში, დაოჯახების შესაძლებლობას, შრომით საქმიანობას საკუთარ ქალაქსა თუ სოფელში და ეს მაშინ, როცა აქამდე ასეულობით ქართულ ოჯახებს რუსულ სკოლებში შეჰყავდათ შვილები, რომ შემდეგ უმაღლესი განათლების მისაღებად გაეყენებინათ რუსეთის გზებისაკენ...

მეოთხე. კომერციულმა ინსტიტუტებმა დიდი გარდატეხა შეიტანეს ჩვენი საზოგადოებრიობის ზნეობრივ განწმენდაში; საყოველთაოდ ცნობილია თუ რა გზებით და ხერხებით ხდებოდა აბიტურიენტთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის ჩარიცხვა თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში; გავრცელებული ქრონიკული პროტექციონიზმი, ათასგვარი ყალთაბანდობა, ქრთამი (ვფიქრობ, მარტო ამისაგან თავის დასაღწევად ღირდა კომერციული ინსტიტუტების გახსნა).

მეხუთე. რა თქმა უნდა, ამდენი უმაღლესი სკოლა გამოიწვევს კადრების სიმრავლეს და, პირდაპირ ვთქვათ, ერთი ნაწილის „სპეციალობის“ მიხედვით უმუშევრობას (არამხოლოდ პედაგოგებისას, არამედ სხვა დარგის წარმომადგენლებისაც), მაგრამ ეს ცუდი როდია, სწორედ კადრების სიჭარბე მოგვცემს კონკურენციის საშუალებას, ე.ი. დასაქმდება მხოლოდ ღირსეული სპეციალისტი, კერძოდ, საშუალო სკოლას საშუალება ექნება პედაგოგიური კოლექტივი დააკომპლექტოს კონკურსის გზით. კონკურენცია ყველგან და ყველაფერში, ვფიქრობ, ჩვენი მომავალი ცხოვრების ერთადერთი მასტიმულირებელი გზაა, რომელიც გვაიძულებს ვიყოთ უკეთესნი, ვიდრე ვართ. ეს უკვე ჩვენი ცხოვრების კანონია, თვით ცხოვრების მოთხოვნაა.

მეექვსე. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ფასიანი უმაღლესი სასწავლებელი შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს დაზოგოს ფინანსები, მეტიც, იგი გარკვეულ შემოსავალს აძლევს (შემოსავლის 41 პროცენტი), რაც ჩვენი დღევანდელი სინამდვილისთვის, როცა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტია, მცირე თანხა არ არის.

მეშვიდე. კერძო უმაღლესი სკოლა, სადაც კი იგი არსებობს, ერთ-ერთი კულტურულ-მეცნიერული კერაა, რაც თავისთავად ქმნის ინტელექტუალურ გარემოს და კეთილმყოფელ ზეგავლენას ახდენს ქალაქისა თუ მთელი რეგიონის მოსახლეობაზე, იგი არამც თუ ინახავს, ე.ი. ინარჩუნებს ახალგაზრდა თაობებს და საკუთარ კადრებს, არამედ იზიდავს კიდეც რესპუბლიკის ცენტრში სახელგანთქმულ პედაგოგ-მეცნიერებს, მაგალითად, გასული წლის ოქტომბერში დაარსდა გორში პედაგოგიური ინსტიტუტი. იგი უშუალოდ მემკვიდრე ხდება აქ არც თუ დიდი ხნის წინათ არსებული ბარათაშვილის სახელობის სახელმოხვეჭილი პედაგოგიური ინსტიტუტისა; აქ ჯერ მხოლოდ სამი ჯგუფია (ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, დაწყებითი განათლების) და ჩამოყალიბდა ძლიერი პედაგოგიური კოლექტივი (პროფ. თ.უთურგაიძე, პროფ. ს.ხუციშვილი, პროფ.ლ. მენაბდე, დოცენტები: შ.აფრიდონიძე, ლ.გუგუჩაძე, ჯ.ბარდაველიძე, ნ.ზამბახიძე, ლევან და ლადო ასათიანები და სხვ.).

დაისმის კითხვა: მაშ რად ვესხმით თავს კომერციულ ინსტიტუტებს?

მართლა „ქართული ხასიათის ფენომენით“ და „ქართული ამბიციებით“ ხომ არ ავხსნათ??? წარსულშიც ხომ არაერთი სასიკეთო წამოწყებისათვის არ მიგვეცია გზა მხოლოდ იმიტომ, რომ მავანი და მავანი რატომღაც ჯიბრით თუ „უჩემოდ ვით იმღერეთას“ პრინციპით ჩაკირკიტებია ამა თუ იმ ინიციატივას და ბევრი კარგი წამოწყება — ეროვნული მნიშვნელობისაც კი — დაგვისამარებია...

რა თქმა უნდა, ჩვენც შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ კომერციულ უმაღლეს სასწავლებლებში ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ახლანდელი ოპონენტებისაგან განსხვავებით სწავლების ამ ფორმას ჩვენ ვთვლით დროულად და სასიკეთოდ, ამასთან აუცილებლად მიგვაჩნია არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა, მაგრამ ამ მიზნით უმჯობესია ჩვენი კამათი არ იყოს ზოგადი ხასიათის; უნდა ვიკამათოთ გარკვეულ პრობლემებზე, კონკრეტულ საკითხებზე, კერძოდ, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ბ-ნი ნაპოლეონ ქარქაშაძე, როცა კომერციული უმაღლესი სკოლების წინააღმდეგ არგუმენტად იშველიებს „სპეციალისტთა ჭარბწარმოებას“, ალბათ, სოფლის მეურნეობის დარგებს გულისხმობს, თორემ ამის თქმა არ შეიძლება ფილოლოგიურ დარგებზე, კერძოდ, მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებზე; საქმე მხოლოდ რაოდენობაში როდია, არამედ მთავარია ხარისხი, უფრო ზუსტად ახალი საუკუნის კვირაძალზე აუცილებელია საშუალო სკოლაში მოვიდეს მრავალმხრივ გაცნობიერებული და სწავლების ახალ მეთოდებს დაუფლებული პედაგოგთა არმია. ეს ამოცანა კი ძირითადად დღევანდელმა კომერციულმა უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა გადაწყვიტონ... ე.ი. ზოგადად კი არ უნდა ვილაპარაკოთ „ბევრი გაიხსნა“ თუ „ცოტა“, არამედ კონკრეტულად დავაყენოთ საკითხი რა დარგის, რა პროფილისა და სპეციალობის კადრები გვჭირდება (ან არ გვჭირდება). ისიცაა მხედველობაში მისაღები, რომ შესაძლებელია მავანსა და მავანს სურს მიიღოს თავისი ხარჯით ჰუმანიტარული უმაღლესი განათლება და არც იმსახუროს.

ეს ხომ მისი უფლებაა?!

რა ნაკლოვანებებია დღეს კომერციულ უმაღლეს სასწავლებელთა მუშაობაში?

ამ კითხვაზე მეც რომ ზოგადი ხასიათის მსჯელობა არ გამომივიდეს, ვფიქრობ, აუცილებელია განათლების სამინისტრომ შექმნას დარგობრივი კომისიები ორგანიზაციულ თუ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესწავლის მიზნით (ჩემთვის ცნობილია რომ მუშაობს ეს კომისია), რომელიც გაითვალისწინებს რესპუბლიკის რეგიონალურ-ზონალური დაყოფის პრინციპს, ინსტიტუტების პედაგოგიურ-მეცნიერულ პოტენციალს, დარგთა განვითარების პერსპექტივებს ამა თუ იმ რეგიონში, შეაჯერებს საერთოდ აღიარებულ სასწავლო პროგრამებს, პირველი კურსის შედეგებს და სათანადო რეკომენდაციებს წარმოადგენს. ამ რეკომენდაციებში გათვალისწინებულ უნდა იქნას დარგობრივი სუქციების, მუდმივი კომისიებისა და კომერციული სწავლების უმაღლეს სასწავლებელთა ასოციაციის შექმნა, რომელიც დაექვემდებარება განათლების სამინისტროს (მხარდასაჭერია გორის კომერციული პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორის ბატონ ანზორ კაპანაძის წინადადება განათლების სამინისტროს 4—5 კაციანი განყოფილების შექმნის თაობაზე კერძო ტიპის უმაღლეს სასწავლებლებზე დახმარების მიზნით, ასევე დადებითად უნდა გადაწყდეს მისივე წინადადება ფიზიკური აღზრდისა და სამხედრო კათედრის შექმნის შესახებ).

ვფიქრობ, ფასიანი სწავლების ფორმას კი არ უნდა ვებრძოლოთ, ხელი უნდა შევუწყოთ მას და დავეხმაროთ, ვიზრუნოთ მის გაძლიერებაზე, გამოვნახოთ სწავლების ახალი ფორმები და გზები, კორექტივები შევიტანოთ სასწავლო პროგრამებში; ამ მიზნით გავმართოთ სამეცნიერო-მეთოდური ხასიათის კონფერენციები და თათბირ-სემინარები.

თავის მხრივ, მთავრობაც, რომელიც არავითარ მატერიალურ დახმარებას არ უწევს ფასიან სასწავლებლებს, ასე ულვთოდ არ უნდა ყვლეფდეს მათ (ახლა ლამის შემოსავლის ნახევარი — 41 პროცენტი სახელმწიფოს მიაქვს).

სახალხო მეურნეობის, ეკონომიკისა და ვაჭრობის მთელი რიგ დარგებში ახლად წამოწყებული საქმისათვის მთავრობა, როგორც წესი, სესხსაც კი იძლევა და ნუთუ უმაღლესი განათლების საქმე იმდენ ყურადღებას არ იმსახურებს, რომ პირველ ხანებში (რამდენიმე წლის მანძილზე, ვიდრე ფეხზე დადგებოდეს) შეღავათებით სარგებლობდეს და ასე დიდ თანხას არ იხდიდეს?!

ბოლოსდაბოლოს ფასიანი სასწავლებლები სახელმწიფო საქმეს ემსახურებიან და სახელმწიფო თუ არ დაეხმარება თავისი საგადასახადო სისტემით, ყელშიც არ უნდა სწვდეს, იქ, სადაც ახლად არსდება ფასიანი სასწავლებლები (ქირაობს შენობას, საგანგებოდ იწვევს პროფესორ-მასწავლებლებს,იძენს სასწავლო ინვენტარს და ა.შ. განსხვავებით, ვთქვათ, თბილისის უნივერსიტეტისაგან და სხვ.) მთლიანად უნდა განთავისუფლდეს გადასახადისაგან და სახელმწიფო ღაკმაყოფილდეს იმით, რასაც ხელფასიდან იხდიან დაქვითვის სახით პროფესორ-მასწავლებლები (ეს პროცენტი კი არცთუ ისე ცოტაა!). ამ შემთხვევაში ხელფასიდან გადარჩენილი თანხა ინსტიტუტის კეთილმოწყობასა და სასწავლო ინვენტარის შეძენას მოხმარდება. ბოლოს და ბოლოს ამ ინსტიტუტებმა (რომლებსაც დარჩენა უწერიათ) ხომ უნდა იზრუნონ საკუთარი შენობის აგებაზე?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სავსებით სწორად გადაწყვიტა, რომ დამატებით ჩარიცხავს აბიტურიენტს ფასიან ჯგუფებში. ამის უფლება, ალბათ, სხვა უმაღლეს სასწავლებლებსაც ექნებათ. ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, თუმცა „დამოუკიდებელში“ იგულისხმება სწავლების დამოუკიდებელი ფორმები და გზები. სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმებისა და სტანდარტებისაგან განსხვავებული (სასწავლო პროგრამები, სწავლების განსხვავებული მეთოდები და ა.შ.), რაც სწავლების დარგში გაგვათავისუფლებდა შტამპებისა და მედავითნეობისაგან. ეს ნიუანსი უმნიშვნელო არ არის და სასურველია იგი შენარჩუნებული იქნას.

და ბოლოს, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი ფასიანი უმაღლესი სკოლა არ შეიძლება ყველა რაიონსა და დაბაში იყოს; ამისათვის მარტო პროფესორ-მასწავლებელთა მაღალი დონე როდია საკმარისი (ამბობენ ერთ-ერთი რაიონის ფასიან უმაღლეს სკოლაში ასპირანტურა გახსნესო. ნუთუ მართალია?).

ალბათ, სასურველია ფასიანი უმაღლესი სკოლების რაოდენობა შემცირდეს თბილისსა და რაიონებშიც მათი გაერთიანების გზით (თუ მანძილი მათ შორის 70—80 კილომეტრს არ აღემატება); უფრო სწორი იქნება თუ ფასიანი უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნება რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში და არა რაიონებში.

# ცრუ კერპებისა და იდეების მსხვრევა გარდაუვალია

**ვახტანგ გურული**

> ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს
> — ილია

> რუსეთის ორგულობას ვერ გამოვიჩენთ
> — ნოე ჟორდანია

დღეს ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის გააზრება ხდება ე.წ. უკუსვლის მეთოდით: 1918-1921 წლების მოვლენებიდან XIX საუკუნის 90-იანი წლებისაკენ და არა პირიქით, როგორც უნდა მომხდარიყო. კვლევის ეს მეთოდი, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ არის შერჩეული. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოწამებრივმა ისტორიამ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში მყოფი ქართველი სოციალ-დემოკრატები გარკვეულწილად ეროვნულ მოღვაწეთა რანგში აიყვანა, ხოლო იმავდროულად საზოგადოებას, ნაწილობრივ მკვლევარებსაც, გადაავიწყა ის დიდი შეცოდებანი, რაც ქართველ სოციალ-დემოკრატებს ეროვნული მოძრაობის მიმართ ჰქონდათ ჩადენილი XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან ვიდრე 1918 წლის 26 მაისამდე. მიზანი ნათელია: 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტსა და საერთოდ, 1918-1921 წლებს უნდა დაეჩრდილა, ადამიანთა მეხსიერებიდან წაეშალა მრავალი მოვლენა და ფაქტი, რომელიც ადასტურებდა, რომ **ქართველი სოციალ-დემოკრატები: ნ.ჟორდანია, ს.ჯიბლაძე, ნ.ჩხეიძე, ნ.რამიშვილი, ი.წერეთელი და სხვები არ ყოფილან 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის იდეების ავტორები**, პირიქით, ამ იდეებისათვის ბრძოლის ნაცვლად მათ მთელი თავიანთი ინტელექტუალური და ფიზიკური ძალები რუსეთის იმპერიის დემოკრატიული გარდაქმნისათვის ბრძოლას შეალიეს. რუსეთის დემოკრატიული გარდაქმნის გარეშე მათ საერთოდ წარმოუდგენლად მიაჩნდათ საქართველოში ეროვნული და სოციალური საკითხის ქართველი ერის სასიკეთოდ გადაჭრა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხის დაყენებას კი ქართველი სოციალ-დემოკრატები არც რუსეთის იმპერიის დემოკრატიული გარდაქმნის შემდეგ აპირებდნენ. ეს საკითხი ნ.ჟორდანიას, ნ. ჩხეიძეს, ი.წერეთელსა და სხვებს მხოლოდ მას შემდეგ გაახსენდათ, როცა რუსეთში მენშევიკებმა ხელისუფლების აღების ბოლო შანსი გაუშვეს ხელიდან (1918წ. იანვარი).

ყოველივე ეს კარგად უწყის საქმეში არც თუ ისე ღრმად ჩახედულმა კაცმაც კი, მითუმეტეს დაინტერესებულმა პიროვნებამ. სწორედ ამიტომ დაიწყო ლაშქრობა ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში ისეთი ფაქტებისა და მოვლენების აღმოჩენისათვის, რომელიც გამოდგებოდა იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობის მიზანი, დაწყებული XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა იყო. ზემოთ ხსენებული უკუსვლის მეთოდიც სწორედ ამ შემთხვევისათვის იქნა მოგონილი. პირადად ჩვენ მიგვაჩნია, რომ შემოთავაზებული მეთოდი არცთუ მეტად ხელსაყრელია საკითხის ნათლად წარმოჩენისათვის, მაგრამ დარწმუნებული იმაში, რომ ჭეშმარიტება ყველა შემთხვევაში ჭეშმარიტებად რჩება, ჩვენც უკუსვლის მეთოდს გამოვიყენებთ.

1918-1921 წლებში ქართველ სოციალ-დემოკრატთა მოღვაწეობის სათანადო კომენტარებით წარმოჩენის შემდეგ იწყება უკუსვლა და მტკიცება იმისა, რომ პირველი მსოფლიო ომის წლებში ( 1917 წლის იანვარსა თუ თებერვალში) საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენციამ დაადგინა: „საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოვაცხადოთ, თუ დადგება საამისო პირობები, ე.ი. რუსის ჯარი დატოვებს ჩვენს ქვეყანას“ (ნ.ჟორდანია. „ჩემი წარსული.“ თბ., 1990, გვ.72). ამის შემდეგ უკუსვლა საკმაოდ დიდი ნახტომით ხდება, რათა ყურადღების გარეშე დარჩეს იმავე კონფერენციაზე გამოთქმული მოსაზრება: „შეიძლება ბოლოსდაბოლოს რუსმა გაიმარჯვოს და დაბრუნდეს, ჩვენ მას მოღალატეთ, მტრის ბანაკში გადასულათ არ დავხვდეთ“ (იქვე, გვ.72). მაინც რა ღალატზეა ლაპარაკი? ნუთუ ერთ დროს დაპყრობილ ერს დამპყრობლისაგან თავის დახსნა დამპყრობლისადმი ღალატად ჩაეთვლებოდა? სამწუხაროდ, სწორედ ასე ფიქრობდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები. ამაში ნათლად დავრწმუნდებით, თუ კიდევ ერთი ნაბიჯით დავიხევთ უკან. 1914 წელს საქართველოში ჩამოვიდა მიხაკო წერეთელი, რომელმაც ნოე ჟორდანიას ამცნო: გერმანიაში დაარსებულია ქართველთა კომიტეტი, რომლის მიზანია საქართველოს გათავისუფლება გერმანია-ოსმალეთის დახმარებით. ნ.ჟორდანიამ მ.წერეთელს აუხსნა: „ჩვენ ომს არ ვაწარმოებთ, არც ერთ კოალიციაში არ ვიმყოფებით, რუსეთის ორგულობას ვერ გამოვიჩენთ, პირიქით, ხალხის შეკითხვაზე — მობილიზაციაში გავიდეთ თუ დავიმალოთ — ჩვენ ვურჩიეთ გასვლა, არავითარი საბოტაჟი არ გაეწიათ. ჩვენში გერმანოფილური აზროვნება სჭარბობს, მაგრამ აჯანყების მომხრე მათგან არც ერთი პირი არ შეიძლება იყოს, ჩვენი გზა სძევს არა ამ მხრით, არამედ რუსეთის შინაგანი რევოლუციის ხაზზე და სხვ.“ (იქვე, გვ.71-72). თუ ქართველი სოციალ-დემოკრატები თვლიდნენ, რომ საქართველო ომს არ აწარმოებდა, რომ იგი არც ერთ კოალიციაში არ იმყოფებოდა, მაშინ მობილიზაციას საბოტაჟს ნუ გაუწევთო, რატომ მოუწოდებდნენ ქართველ ხალხს? ე.ი. ცხადია, საქართველო იბრძოდა და თანაც რუსეთის მხარეზე. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, არც თუ მაინცდამაინც ნათელი პასუხით ნ.ჟორდანიამ მ.წერეთელი მიახვედრა, რომ **საქართველოში გერმანიის დახმარებით რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების იდეას ქართველი სოციალ-დემოკრატები მხარს არ დაუჭერდნენ.**

დავიხიოთ ისევ უკან. 1913 წელს ნ.ჟორდანიას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა კი არა, ავტონომიის გაგონებაც არ სურდა: „საქართველოს გამოყოფა ამიერკავკასიიდან და მისი ავტონომიურ ერთეულად გამოცხადება ხატავს ძველ ისტორიულ საქართველოს ურთიერთობას და არა ახალს თანამედროვე მდგომარეობას“ („ნაწერების კრებული ეროვნული საკითხის შესახებ“. ტფ.,1922, გვ.198). მეტი გარკვეულობისათვის ნ.ჟორდანია საკითხს ასე აყენებს: „ავტონომიური ერთეული უნდა იყოს იმავე დროს ეკონომიური ერთეულიც. არის კი საქართველო ეკონომიური ერთეული? ქართველი ერი წარმოადგენს ერთ ეკონომიურ ორგანიზმს?.. ამაზე ჩვენ გადაჭრით ვუპასუხებთ: არა, არ წარმოადგენს.“ — დაასკვნის ნ.ჟორდანია (იქვე, გვ.200).

უკუსვლის მეთოდით 1912 წელს მივადექით. ნ.ჟორდანია მეტისმეტი თავდაჯერებით აცხადებს: „ქართველობა რომ რაიმე მანქანებით თავის საკუთარ საზღვრებში მოემწყვდეს — ერთ წელიწადსაც თავს ვერ დაირჩენს“ („ძველი და ახალი“. ქუთაისი, 1912, გვ.8.). და ეს დაიწერა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტიდან სულ რაღაც ექვსი წლით ადრე. ისევ უკუსვლა, და მივადგებით იმ დასკვნას, რომელიც ალბათ ყველაზე უფრო მკრეხელურია ნ.ჟორდანიას ნაწერებში. 1908 წელს იგი წერდა: „არც ერთ ხალხს ისე ნაკლებათ არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა, როგორათაც ქართველ ხალხს“ („ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, ქუთაისი, 1908, გვ. 3). ნ.ჟორდანიამ საქართველოს ახალი ისტორია ცუდად იცოდა, ეს მან მრავალგზის დაადასტურა თავის ნაშრომებში. მაგრამ **1908 წელს (როცა ილია ჭავჭავაძე სულ ერთი წლის მოკლულია, ხოლო არჩილ ჯორჯაძე ჯერ კიდევ ცოცხალია,) მტკიცება იმისა, რომ ქართველ ხალხს ნაციონალური საკითხი ყველა ხალხზე ნაკლებად აინტერესებსო — რისი მაუწყებელია? — მხოლოდ და მხოლოდ მკვეთრად გამოკვეთილი ეროვნული ნიჰილიზმისა, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის უხეში გაყალბებისა.**

ისევ უკან დავიხიოთ. 1904 წელს ნ.ჟორდანია პროტესტით შეხვდა ფედერალისტთა ჟენევის კონფერენციას. იგი განსაკუთრებით მტკიცედ ილაშქრებდა „საერთო ნიადაგის“ თეორიის წინააღმდეგ: „აი, ეს „საერთო ნიადაგი“ გახდა ჩვენთვის ყოვლად მიუღებელი.ეს იყო აღდგენა ილ.ჭავჭავაძის ძველი დებულების — ყველა ერთ ტაფაში ვიწვით, ყველა შევერთდეთ ვინაობის დაცვაშიო“ (ნ.ჟორდანია, „ჩემი წარსული“, გვ.45). თუმცა ნ.ჟორდანია ქართველი ფედერალისტების მოძრაობის აღმოცენებაში სხვა უფრო დიდ საშიშროებასაც ხედავდა: „ბრძოლა იყო გამოცხადებული რუსეთის თვითმპყრობელობასთან. აქ პატარა საქართველო გამოიჩენდა უნარს და გამძლეობას იმდენათ, რამდენათ ის იქნებოდა სხვა ხალხების და მათი პარტიების გვერდით ერთ მებრძოლ რაზმათ გადაქცეული. ყოველი განდგომა, იდეური თუ ტაქტიკური, გვამარცხებდა და გვრიყავდა მოძრაობისაგან“ (იქვე, გვ.46). **ნ.ჟორდანიას ასეთი პოზიცია ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შეუფარავი ღალატი იყო.** მსგავსი შეგონებებით რუსი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკებიც და ბოლშევიკებიც) ერთ რუსულ ოთხთვალაში შესაბმელად ერეკებოდნენ იმპერიაში მცხოვრებ არარუს ხალხებს, მკაცრად უქნევდნენ თითს ცალკეული ერების სოციალ-დემოკრატებს, თუ ისინი გაბედავდნენ და ოდნავ წინ წამოსწევდნენ ერის სატკივარს.

თუ კვლავ უკუსვლის მეთოდს მივმართავთ, უფრო ნათელ წარმოდგენას შევიქმნით იმის შესახებ, თუ როდის დარწმუნდა ნ.ჟორდანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის უპერსპექტივობაში. ეს იყო 1898 წელს. ნ.ჟორდანია იგონებს: „საახალწლოდ ჩავედი ლანჩხუთში, გავედი „ფიქრის გორაზე“ და ჩამოუგდე ლაპარაკი თავმოყრილ მეზობლებს ნაციონალურ საკითხზე. მისმენდნენ გულმოდგინეთ. როცა წამოვაყენე დებულება საქართველოს თავისუფლების შესაძლებლობისა, ერთი გლეხი ადგა და მომახალა — აწი ჩვენ ტყვეს გაყიდვას ვერ დაუბრუნდებითო! სიტყვა პირში შემრჩა, არ ვიცოდი რა მეპასუხა. დავინახე რომ ერის თავისუფლება მათთვის ძველი დროის დაბრუნებას ნიშნავდა... გავბრუნდი და ჩემს თავს ვუთხარი: ამხანაგები მართალი არიან. ეს ხილი ნაადრევია, ხალხის გაღვიძება ჯერ უნდა მოხდეს სხვა ნიადაგზე“ (იქვე, გვ.34). მაინც რატომ ფიქრობდა ნ.ჟორდანია, რომ იმ გლეხის სახით მთელი საქართველო ელაპარაკებოდა? ან რატომ არ განუმარტა სოფლელ კაცს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ტყვის სყიდვის დაბრუნება ერთი და იგივე არ იყო? დაახლოებით მსგავსი არგუმენტით აშინებდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები ყველას, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას უჭერდა მხარს. უნდა ითქვას, რომ ეს აშკარად პრიმიტიული არგუმენტი ხშირად მაგიურად მოქმედებდა მოსახლეობის დაბალ ფენებზე.

ჩვენ ზემოთ ნ.ჟორდანიას შეხედულებებზე გავამახვილეთ ყურადღება, რადგან იგი ძირითადად გამოხატავდა ქართული სოციალ-დემოკრატიის მსოფლმხედველობას. ამის დადასტურებაა 1897 წლის ნოემბერში თბილისში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების თათბირზე უმრავლესობის სახელით გამოთქმული აზრი: „ქართველი ხალხისათვის ჯერ კიდევ გაუგებარია ნაციონალურ მოთხოვნილებათა წამოყენება“. ამას სოციალ-დემოკრატები ასაბუთებდნენ იმით, რომ „საქართველოს თავისუფლება ხალხისათვის ნიშნავს ოსმალეთ-სპარსეთის ტყვეთ გახდომას, ასეთი ლოზუნგით წავაგებთ მთელ ბრძოლას, ხალხი ზურგს შეგვაქცევს ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებშიც“ (ნ.ჟორდანია. „ჩემი წარსული“, გვ.33).

მაშინაც კი, **როცა ნ.ჟორდანია პროგრესულ იდეას იცავდა, ქართველი ერის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის პროგრამას აყალიბებდა, ყოველთვის ამოდიოდა იქედან, რომ საქართველო უნდა დარჩენილიყო რუსეთის შემადგენლობაში.** მაგალითად, 1893 წლის თებერვალ-მარტში ნ.ჟორდანიამ „მესამე დასის“ თბილისის კონფერენციაზე საპროგრამო მოხსენება ასეთი დასკვნებით დაამთავრა: „1. ნივთიერი კეთილ-დღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; 2. თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა, როგორც ხელ-შემწყობი პირობა უმთავრესი სურვილის მისაღწევათ და როგორც უახლოესი საგანი მოწინავე დასის მოქმედებისა; აქედან, 3. ეროვნული გრძნობა მთელი ხალხისა და ადამიანური უფლებანი, კაცური ღირსებანი თითოეული პირისა აღზრდილი და აღორძინებული უნდა იქნას ეკონომიურ ნიადაგზე“. (ნ.ჟორდანია. თხზულებანი. ტ1. ტფ, 1920, გვ. 71-72). **ეს იყო წმინდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათის პლატფორმა**, რომლის იდეები ნ.ჟორდანიას ნასესხები ჰქონდა ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის და გიორგი წერეთლის ნააზრევიდან, რაც მხოლოდ ისევ ნ.ჟორდანიას სასარგებლოდ შეიძლება მეტყველებდეს. მაგრამ ამ პერიოდში ნ.ჟორდანია უკვე მარქსისტად თვლიდა თავს, რის გამოც ზემოთ ხსენებული პროგრამული მოთხოვნების განმახორციელებელ ძალად მან მთელი ქართველი ხალხი კი არ მიიჩნია, არამედ „გაღარიბებული ნაწილი“ ერისა (იქვე, გვ.72), რითაც ნ.ჟორდანია უკვე პრინციპულად გაემიჯნა ილია ჭავჭავაძეს მისი მოღვაწეობის დასაწყისშივე. სწორედ აქედან იწყება ნ.ჟორდანიას უარყოფითი დამოკიდებულება „საერთო ნიადაგის“ თეორიისადმი. „საერთო ნიადაგის“ თეორიისადმი მკვეთრად გამოკვეთილი უარყოფითი პოზიცია დაიკავეს აგრეთვე: ს.ჯიბლაძემ და ა.გელეიშვილმა. „საერთო ნიადაგის“ თეორიის წინააღმდეგ ბრძოლა ქართველ სოციალ-დემოკრატთათვის უბრალო პუბლიცისტური გატაცება არ იყო. „საერთო ნიადაგის“ თეორიის პოპულარობა მასებში გამორიცხავდა სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის, კერძოდ მარქსიზმის დამკვიდრებას საქართველოში.

1890 წლის აგვისტოში, როცა ვარშავაში ჩასულ ნ.ჟორდანიას პოლონეთში ეროვნული საკითხის გარკვევა დაუწყია, „ორი-სამი თვის მეცადინეობის შემწეობით“ დაუდგენია: „1863 წ. აჯანყების შემდეგ პოლონელი საზოგადოებიდან და ყველა მისი დაჯგუფებიდან გაქრა პოლონეთის დამოუკიდებლობის მოთხოვნილება და მისთვის ბრძოლა. მისი ალაგი დაიჭირა მოთხოვნილებამ პოლონეთის ავტონომიისა“ („ჩემი წარსული“, გვ.23) ახლა ძნელი დასადგენია, თუ რა წყაროებით სარგებლობდა ნ.ჟორდანია, როცა პოლონეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას სწავლობდა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მის მიერ გაკეთებული დასკვნა აბსოლუტურად მცდარია. პოლონეთში სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა არასოდეს არ მომკვდარა.

და კიდევ ერთი მრავლისმეტყველი ფაქტი. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის 1895 წლის 26 მაისის № 4252 საიდუმლო ცირკულარით ნ.ჟორდანია იძებნებოდა „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ საქმესთან დაკავშირებით. იგი უნდა დაეპატიმრებინათ და გაეგზავნათ ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის განკარგულებაში (საქართველოს ცსსა, ფონდი 153, აღწ. 2, საქმე 145, ფურცელი 33). „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ საქმიანობაში მონაწილეობის ფაქტს შემდეგში ნ.ჟორდანია საგულდაგულოდ მალავდა. ალბათ სოციალ-დემოკრატისათვის შეუფერებლად ჩათვალა ისეთი „ნაციონალისტური“ მიმართულების ორგანიზაციაში ყოფნა, რომლის მიზანი ქუთაისის დამფუძნებელმა ყრილობამ (1892 წლის 26-29 ივნისი) ასე განსაზღვრა: „ახალგაზრდობის საბოლოო მიზანს შეადგენს სამშობლოს სამსახური, რომელიც მათი დადგენილებით, უნდა გამოიხატოს საქართველოს განთავისუფლებაში რუსეთის ბატონობიდან“ (გრ.გიორგაძე, „თვითმპყრობელობა და რევოლუცია.“ წიგნი პირველი, ტფ., 1929, გვ.101). ნ.ჟორდანიასათვის ალბათ მიუღებელი იყო ისიც, რომ ქუთაისის ყრილობამ „უარჰყო რუსეთის რევოლუციონერებთან შეერთება“ და „აღიარა, რომ იმოქმედონ საქართველოს ფარგლებში თავიანთი ტერიტორიის და ენის შესანარჩუნებლად“ (იქვე, გვ.101). პირადად ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნ. ჟორდანიამ სწორედ „საქართველოს თავისუფლების ლიგასთან“ კავშირის გაწყვეტით დაკარგა შანსი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმისა. სწორედ აქედან დაიწყო ის გზა, რომელმაც იგი ეროვნული მოღვაწის ნაცვლად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოღვაწედ აქცია.

პოლიტიკური აზროვნება სემინარიელმა ნ.ჟორდანიამ დაიწყო როგორც რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის მიმდევარმა, ხოლო 1890 წლისათვის პ.ლავროვის სკოლის იდეების მატარებლად თვლიდა თავს. ამ მოძღვრებისათვის ეროვნული საკითხი საერთოდ უცნობი იყო...

ჩვენ უკუსვლით განვიხილეთ ნ.ჟორდანიას დამოკიდებულება ქართველი ერის უმთავრესი პრობლემისადმი — ეროვნული საკითხისადმი 1918 წლის 26 მაისიდან, როცა ნ.ჟორდანია საქართველოს დამოუკიდებლობას აცხადებდა, 1890 წლამდე, როცა ნ.ჟორდანია, როგორც რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის მიმდევარი, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიოდა. **ჩვენი ღრმა რწმენით, ვერც 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი და ვერც საერთოდ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოწამებრივი ისტორია ვერ წარხოცავს ქართველი კაცის შეგნებიდან სოციალ-დემოკრატების ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ეროვნული საკითხისადმი, ვერ წარმოაჩენს მათ ეროვნულ გმირებად.** პირიქით კი მოხდება: რაც უფრო ღრმად და საფუძვლიანად იქნება შესწავლილი საქართველოს ისტორიის ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული და საინტერესო პერიოდი ( XIX საუკუნის 90-იანი წლები — 1921 წელი), მით უფრო ნათელი გახდება თუ ვისი, რომელი პიროვნების, რომელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალის დროშაზე ეწერა უკვდავი სიტყვები: „მამული, ენა, სარწმუნოება...“ ნათელი გახდება, თუ ვისი იდეა ასულდგმულებდა ქართველ კაცს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ვისი უკვდავი სული მიუძღოდა წინ, ვის უნდა უმადლოდეს 1918 წლის 26 მაისი, 1918-1921 წლებს. **ყოველივე ამას აუცილებლად მოჰყვება ცრუ კერპებისა და იდეების მსხვრევა. იმის საწინდარია, რომ მომავალ თაობებს დაუ... ჭეშმარიტი ისტორია.**

**7 ივნისი 1992 წ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ომარ ჯანელიძე:

# კვლავ უვარგისის შენება ნგრევაზე უარესია

**— ბატონო ომარ, დღეს, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს ეკონომიკური ნგრევის პროცესი, რა არის ქართველ ბუნებისდამცველთა სატკივარი?**

— ქართველ ბუნებისდამცველთა საფიქრალიცა და სატკივარიც გახლავთ ქვეყნის ეკოლოგიური და ეკონომიკური კრიზისი, ეკონომიკური იმიტომ, რომ სწორედ სახალხო მეურნეობის ავ-კარგი მთლიანად განსაზღვრავს ეკოლოგიური მდგომარეობის ბედ-უბედობას. გახსოვთ ალბათ, როგორ მავნებლურად დამკვიდრდა საქართველოში უაღრესად ენერგო და რესურსოტევადი დარგები, ქართველთა ინტერესების როგორი უგულებელყოფით ჩამოყალიბდა ჩვენში სახალხო მეურნეობის მახინჯი ინფრასტრუქტურა. შემდგომ ხომ უფრო უარესი მოხდა. სრულიად მოიშალა, დაინგრა, განადგურდა ისიც კი, რაც იყო; დაირღვა საქმიანი კავშირურთიერთობები, ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა მეურნეობის ყველა სასიცოცხლო დარგი, საშიშ ზღვარს მიაღწია დისპროპორციებმა; რესპუბლიკაში სუფევს პროდუქციის საყოველთაო დეფიციტი და შიმშილი; თითქმის სრულიად მოისპო შრომის უნარიცა და სურვილიც. ერთი სიტყვით, ყველაფერი თითქმის დაინგრა. მაგრამ ნგრევა იმდენად საშიში არ არის. ბევრად უფრო საშიშია ისეთივე უვარგისი ახლის აშენება, როგორიც ძველია. ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ სწორედ დღეს, როდესაც ყველაფერს თითქმის თავიდან ვიწყებთ; ვინაიდან, თუ შეიძლება ასე ითქვას, იქმნება თითქმის ახალი საქართველო.

ახალი საქართველოს შექმნა, განსაკუთრებით კი მისი ეკონომიკური ფერისცვალება, მჯერა, უნდა დავიწყოთ მისი თეორიული ბაზის მომზადებით. როგორც ყველა სამართლებრივ ქვეყანაში არის კონსტიტუცია და ამ კონსტიტუციას ეფუძნება საკანონმდებლო აქტები, იმათ კი ნორმატული აქტები და ასე შემდეგ, საქართველოს ეკონომიკის მშენებლობაც უნდა დავიწყოთ მისი ძირითადი საკოორდინაციო გეგმის შედგენით, ანუ უნდა შემუშავდეს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, მომავალი ეროვნული მეურნეობის განვითარების კონცეპტუალური მოდელი. მას უნდა ჰქონდეს ორიენტირის ფუნქცია იმ ბურუსსა და ქაოტურ მდგომარეობაში გასარკვევად, დღეს რომ ვიმყოფებით.

ვფიქრობ, სახალხო მეურნეობის კონცეპტუალური მოდელის შესაქმნელად რესპუბლიკის ყველა მოქმედი და პერსპექტიული დარგის (დაახლოებით ორასამდე), აგრეთვე ყველა რაიონის (ასამდე) მეცნიერ-სპეციალისტებისაგან და ეკონომისტებისაგან დაკომპლექტებულმა ჯგუფებმა უნდა შეადგინონ დარგობრივი და ტერიტორიული განვითარების ამდენივე მიზნობრივი პროგრამა. პროგრამები უნდა შედგეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და დაეფუძნოს დღევანდელ სინამდვილეს, მომავლის პროგნოზს (პროგრამის შემქმნელთა თვალთახედვით). ამომწურავ და დაზუსტებულ ინფორმაციას რესპუბლიკის ინტელექტუალური პოტენციალის, წიაღისეული მარაგების და საერთოდ, ბუნებრივი რესურსების პოტენციალის შესახებ; აგრეთვე ძირითადი ფონდების ინვენტარიზაციას, რეკრეაციულ ან ენერგეტიკულ პოტენციალს და სხვა. უნდა გაანგარიშდეს თითოეული დარგის განვითარების მოსალოდნელი ხანგრძლივობა და სავარაუდო მოცულობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ეტაპზე უნდა შეიქმნას საქართველოს სამეურნეო პოტენციალის და მისთვის საინტერესო უახლესი ტექნოლოგიების მონაცემთა საიმედო ინფორმაციული ბანკი.

როგორც პრესიდან შევიტყვეთ, რესპუბლიკის მთავრობაში მუშავდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეფცია. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას — თუ არ შეიქმნა ზემოაღნიშნული როგორც დარგობრივი, ასევე ტერიტორიალური პროგრამები, თუ არ შეიქმნა მონაცემთა სრული ინფორმაციული ბანკი, ეკონომიკური განვითარების ვერავითარი კონცეფცია ვერ იქნება სრულფასოვანი. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ასეთი ინფორმაციული ბანკი მხოლოდ ეკონომიკის ან მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროების მეშვეობით ვერ შეიქმნება. ეს არის სრულიად საქართველოს საქმე და უნდა შეიქმნას საქართველოს მთელი ინტელექტუალური პოტენციალის სრული მობილიზებით.

მხოლოდ ასეთი დიდი მოცულობის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ შესაძლებელი გახდება მოვიწვიოთ კვალიფიცირებული საზღვარგარეთელი სპეციალისტები. ჩემის აზრით ეს აუცილებელია, ვინაიდან ყოფილ საბჭოთა კავშირში ვერ გაიზრდებოდა და არც მოიძებნება საბაზრო ეკონომიკაში ღრმად ჩახედული, გამოცდილი და რამდენადმე კვალიფიცირებული სპეციალისტი. საზღვარგარეთელი სპეციალისტების ხელმძღვანელობით, რესპუბლიკის რჩეული ეკონომისტების, სოციოლოგების, ეკოლოგების, პოლიტოლოგებისა და სხვა დარგის სპეციალისტების მიერ უნდა გაანალიზდეს შეგროვილი მასალა, შეირჩეს და დაიხვეწოს პროგრამული სისტემა, სათანადოდ გადამუშავდეს ინფორმაციული ბანკის მონაცემები (საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდის ყველა თავისებურებათა გათვალისწინებით), მოხდეს მოსამზადებელ პერიოდში დამუშავებული ყველა მიზნობრივი პროგრამის (როგორც ტერიტორიალური, ასევე დარგობრივი) სინთეზი და ჩამოყალიბდეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების კონცეპტუალური მოდელი. მიზნობრივი პროგრამების სინთეზი უნდა ეფუძნებოდეს ფულის რეფორმის, ვალუტის კონვერტირებადობისა და პრივატიზაციის პროცესების სავარაუდო ხანგრძლივობასა და ნიუანსებს, ხელფასებისა და ფასების რეგულირების შესაძლებლობას, სოციალურ უზრუნველყოფას, დაბალანსებული და გაწონასწორებული ბიუჯეტის მიღწევადობასა და სხვა. მიზნობრივი პროგრამების სინთეზი გამიზნული უნდა იყოს თანამედროვე დამზოგავი ტექნოლოგიების ფართომასშტაბური დანერგვისა ადამიანის სიცოცხლისათვის უსაფრთხო პირობების შექმნისაკენ; იგი უნდა ეყრდნობოდეს ხალხის სამეურნეო ჩვევებს, ცხოვრების წესს, ტრადიციებსა და ეროვნულ ფსიქოლოგიას.

ეროვნული მეურნეობის განვითარების ასეთნაირად მიღებული კონცეპტუალური მოდელი უნდა იყოს მიზანი, თუ გნებავთ, სახელმწიფო ეკონომიკური სტრატეგია. იგი საშუალებას მოგვცემს გარდამავალი პერიოდის ყოველ გარკვეულ მომენტში წარმოვადგინოთ ინფლაციის ტემპები, სახელმწიფო ვალის მდგომარეობა, ფასებისა და ვალუტის კურსის დინამიკა და სხვა; ანუ შეიქმნება ცოდნა ეკონომიკური კონიუნქტურის დინამიკის შესახებ. თუ რა გზით ან მეთოდებით მიიღწევა კონცეპტუალური მოდელის განხორციელება — ეს უკვე ეკონომიკის რეფორმატორების საქმეა. რა თქმა უნდა, იგი უნდა განხორციელდეს მხოლოდ ეკონომიკური ბერკეტების საშუალებით (თვით ამ ბერკეტების სრულყოფის შემდეგ) და ჰქონდეს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი. განვითარების კონცეპტუალური მოდელი უნდა იხვეწებოდეს მუდმივად და სიტუაციის ცვლილების შესაბამისად.

**— რამდენად დაეხმარება ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური მოდელის შექმნა ეკოლოგებს?**

— ეროვნული მეურნეობის განვითარების კონცეპტუალური მოდელი, ჩვენი ჩანაფიქრით, უნდა გახდეს ის საბაზრო ამოსავალი, რომელსაც დაეფუძნება ეროვნული განვითარების ეკოლოგიური პროგრამა, ამასთან, არა მარტო ეკოლოგიური პროგრამა; მას დაეფუძნება აგრეთვე განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის და სხვა პროგრამები. ისინი შეავსებენ ცოდნას მატერიალურ-ნივთობრივი ბაზის შესახებ. ასეთი ცოდნა ფასდაუდებელი ბალავარია პრაქტიკული და თეორიული ბუნებათსარგებლობის დანერგვის საქმეში.

ცნობილია, რომ ეკოლოგიური პროგრამის ეკონომიკური მექანიზმი ფორმირდება ორი მიმართულებით; ესენია: ეკოლოგიური შეზღუდვების დაწესება დროში გამკაცრებადი ლიმიტების სახით და ბუნებით სარგებლობისათვის საგადასახადო სისტემის შექმნა (აგრეთვე, დაბეგვრის დროს ეკოლოგიური ფაქტორის გათვალისწინება); თუ არ გვექნება ეროვნული ეკონომიკის განვითარების კონცეპტუალური მოდელი, არ გვეცოდინება ეკონომიკური კონიუნქტურის დინამიკა და გარდამავალი პერიოდის ამა თუ იმ ეტაპზე ამ კონიუნქტურის მდგომარეობა, მაშინ რამდენად სრულყოფილად იქნება გამოთვლილი ეკოლოგიური შეზღუდვების (დასაშვები ლიმიტების) გამკაცრების დინამიკა და რამდენად გაითვალისწინებს ეს გამოთვლები მასში მოქმედ ყველა ფაქტორს?!

იგივე შეიძლება ითქვას პროგნოზირებასა და ექსპერტიზაზე. დასამალი არაა, რომ საქართველოში საერთოდ არა გვაქვს ანთროპოგენულ ზემოქმედებაზე დაკვირვების რამდენადმე სერიოზული სისტემა (მონიტორინგი). მაშასადამე, არა გვაქვს ცოდნა, რათა განვსაზღვროთ, თუ როგორ, რა ხარისხითა და ინტენსივობით წარიმართება ეკოლოგიური მდგომარეობის ცვლილება, გამოწვეული ანთროპოგენული ზემოქმედებით; არ ვიცით ამა თუ იმ რეგიონის ეკოლოგიური სტაბილურობისა და მდგრადობის რაოდენობრივი მაჩვენებლები; თუ ამასთან ერთად არ იქნა კონცეპტუალური მოდელი, ბურუსით იქნება მოსილი ეკონომიკური კონიუნქტურის დინამიკა და მისი პერსპექტივა, მაშინ იბადება კითხვები: რამდენად სრულფასოვანი იქნება საექსპერტო სამეურნეო საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების დამკვეთისეული შეფასება? რამდენად არგუმენტირებულად განისაზღვრება ამ შეფასების სისწორე და ეკოლოგიური უსაფრთხოება? და ბოლოს, რამდენად სრულყოფილი იქნება ასეთი ექსპერტიზა საერთოდ?

დასკვნა ერთია, უნდა შეიქმნას ეროვნული მეურნეობის განვითარების კონცეპტუალური მოდელი. იგი დაგვეხმარება სწორად გავიაზროთ ის უკიდურესად რთული ეკონომიკური მდგომარეობა, რომელშიც ვიმყოფებით და შევიმუშავოთ ეკოლოგიურ ღონისძიებათა მრავლსაფეხურებიანი დინამიური პროგრამა.

**— როგორ გესახებათ ეროვნული მეურნეობის განვითარების კონცეპტუალური მოდელის პრაქტიკული გამოყენების კონკრეტული ასპექტები?**

— როგორც მოგახსენეთ, კონცეპტუალური მოდელის შემუშავებით განისაზღვრება თითოეული დარგის განვითარების ხარისხი და პრეფერენცია (ასე ვთქვათ, რეიტინგი). ეს კი უტყუარი კომპასი გახდება ეროვნული მეურნეობის ინფრასტრუქტურის ოპტიმალურად ჩამოყალიბების გზაზე, აუცილებელი ორიენტირი ეკონომიკური ბერკეტების მიზანმიმართულად რეგულირების უზრუნველსაყოფად. ასეთი სისტემური ცოდნა მინიმუმამდე დაიყვანს პირადი კონტაქტებისა და სუბიექტურობის ფაქტორს. ეს აუცილებელია, ვინაიდან ამა თუ იმ დარგის პრიორიტეტულობის განსაზღვრა და მისი განვითარების ბიუჯეტის ხარჯზე ხელშეწყობა არ უნდა იყოს დამოკიდებული ძლიერთა ამა ქვეყნის ნება-სურვილზე. როგორც ვთქვით, იგი უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ მეცნიერულად ყოველმხრივ დასაბუთებულ კონცეპტუალურ მოდელს. მოვიყვანოთ ამ მარტივი ჭეშმარიტების, ჩვენის აზრით დარღვევის რამდენიმე კონკრეტული მაგალითი.

ამას წინათ ტელევიზიით შევიტყვე, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ელექტროფოლადსადნობი საამქროს ასამოქმედებლად საჭირო სამშენებლო სამუშაოები ბიუჯეტს წელს უჯდება ორასი მილიონი მანეთი. მე არ ვიცი, თუ რა უჯდება საქართველოს ამ საამქროს ამოქმედება მთლიანად, მაგრამ ვიცი, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის კომპარტიისა და მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 21 თებერვლის № 174 ერთობლივი დადგენილებით, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის რეკონსტრუქცია ჯდებოდა იმდენი, რაც დღევანდელ კურსზე თუ გადავიყვანთ, თითქმის რესპუბლიკის ამჟამინდელ ბიუჯეტს უტოლდება. გარდა ამისა, ხომ წინასწარ ვიცით, რომ ამ ქარხნისათვის საქართველოს არც ნედლეული გააჩნია და არც ენერგორესურსები. არის მხოლოდ დაუსაბუთებელი სურვილი გამოვუშვათ „სტრატეგიული დანიშნულების“ პროდუქცია. დაუსაბუთებელი იმიტომ, რომ ჯერ არავის გამოუკვლევია, თუ რამდენად არის აუცილებელი და შორს გამიზნული (ჩვენი გაძვალტყავებული ბიუჯეტისათვის) მილიარდების დღესვე დაბანდება და პირველ რიგში ამ საამქროს ამოქმედება. შემდეგ დაიწყება პრესაში იმ უწყება-დაწესებულებების გამომზეურება, ვინც ვერ შეასრულა ჯართის ჩაბარების გეგმა ან პირიქით. ამ პროცესის დარეგულირება დღეს, როდესაც ხელისუფალთ ინერციით მართვის ადმინისტრაციული სადავეები ასე თუ ისე ხელთ უპყრიათ, კიდევ შეიძლება, მაგრამ როგორღა იქნება ხვალ, მართვის რეალური დემონოპოლიზაციის პირობებში?! ვინ გამოთვალა, თუ რა ხარისხით, რა მოცულობით და რამდენად უნდა განვითარდეს დღეს შავი მეტალურგია საერთოდ, ან რამდენად მომგებიანად ეხამება ყოველივე ეს დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული განვითარების ინტერესებს? ჩვენთვის ცნობილია ქართული მეტალურგიის ამჟამინდელი თავკაცის, ბატონ გურამ ქაშაკაშვილის გავლენა და უნარიანობა (რა კარგი იქნებოდა, რომ ასეთი ღელოსგამტანი ხალხი მეტალურგიას კი არა, ვთქვათ, მიკროელექტრონიკას ედგნენ სათავეში), მაგრამ სუბიექტივიზმი და პირადი კონტაქტები ქვეყნისათვის ისეთ სასიცოცხლო პრობლემებში, როგორიც ეროვნული მეურნეობის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაა — უნდა გამოირიცხოს.

იგივე შეიძლება ითქვას გარდაბნის ყოფილი სამონადირეო-სატყეო კომპლექსის შესახებ. მეურნეობის ფართობი 3315 ჰექტარია და მდებარეობს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ტყემცენარეულობის ზონაში. მიუხედავად ამისა, იგი არ განეკუთვნება ამ ზონისათვის დამახასიათებელ არცერთ მცენარეულ საფარს. მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული კორომები ჰქმნიან უდაბნოებისა და ნახევარუდაბნოების ზონაში ბუნებრივად შემორჩენილ იშვიათ ჭალის ტყეს, რომელიც ამ რეგიონში ანალოგიური ბიოგეოცენოზის ეტალონად შეიძლება მივიჩნიოთ. მეურნეობის ტყეები, ირმების გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა საქართველოში, ანუ ერთ-ერთი, იმ ოდესღაც ვრცელი არეალიდან, რომელიც დღესდღეობით სულ რამდენიმე შემოგვრჩა და ამდენად, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მიუხედავად ამისა, მეურნეობის ბუნებრივი პოტენციალი სრულად არ არის გამოყენებული; შედეგად პოპულაციათა რიცხოვნობა იქ საორგანიზაციო ბიოტექნიკური პროექტით გათვალისწინებულზე რამდენადმე დაბალია. მიზეზად, კვლავ ანთროპოგენული ზემოქმედება შეიძლება ჩავთვალოთ. აქედან მეურნეობაში ბიოგეოცენოზის ცვლილების დინამიკაზე მუდმივი დაკვირვების ორგანიზება ოპტიმალურია მხოლოდ ამ ცუდად იზოლირებული ბუნებრივი კომპლექსის მაქსიმალურად დაცვის შემდეგ, ანუ მისი ბიოსფერულ ნაკრძალად გადაქცე-

ის შემდეგ. მით უფრო, რომ გარდაბნის ყოფილი სამონადირეო-სატყეო კომპლექსისათვის ბიოსფერული ნაკრძალის სტატუსის მინიჭება მთლიანად პასუხობს ბიოსფერული ნაკრძალის ორგანიზების ყველა მოთხოვნას. ამასთან, აღნიშნული ბუნებრივი კომპლექსი, როგორც ბიოსფერული ნაკრძალი, გახდება როვნული მონიტორინგის ორგანულად შემადგენელი ნაწილი, რომლის ორგანიზება, მართლაც, პირველ რიგში გასაკეთებელი და საური საქმეა. დასკვნა ერთია, გარდაბნის ყოფილ სამონადირეო-სატყეო კომპლექსს უნდა მიენიჭოს ბიოსფერული ნაკრძალის სტატუსი. ასეთ პირობებში კი, მისი გადაცემა უცხოური ფირმისათვის, რათა მან ორგანიზება გაუწიოს ამ მრავალმხრივ გამორჩეული ბუნებრივი კომპლექსის გადაქცევის საქმეს თუნდაც ელიტარული ტურიზმის ცენტრად, (ირმებზე ნადირობითა და სხვა ეგზოტიკური გასართობებით) - ნიშნავს ჩვენი შემდგომი თაობების გაძარცვას. განა იყო კი ამ ბუნებრივი კომპლექსის უცხო ფირმისათვის გადაცემის აუცილებლობა? ვინ შეისწავლა და გაანალიზა ეს აუცილებლობა ან ამ საქმიანი გარიგების შედეგები? ერთი ჩემი ნაცნობი ანტიეკოლოგი ეკონომისტისა არ იყოს, თუ მაინცა და მაინც ეს კომპლექსი იყო გასაწირი, იქნებ ის მილიარდები (საქართველო რომ ელექტროფოლადსადნობი საამქროს ამოქმედებაზე ხარჯავს), ამ კომპლექსის კეთილმოწყობაზე დაგვეხარჯა და მოგებაც უცხოური ფირმების მაგივრად მთლიანად ჩვენ მიგვეღო? და ბოლოს, როდემდე უნდა ჰქონდეს ადგილი ავტორიტარიზმისა და სუბიექტურობის მსგავს გამოვლინებებს?

ზემოთ მოგახსენეთ, რომ კვლავ უვარგისის შენება ნგრევაზე უარესია. ცუდად აშენებულმა ახალმა, სანამ თავის დროს მოსჭამს, შეიძლება ბევრი ავი მოიმოქმედოს. ავი იმიტომ, რომ თუ არ გამოდგა, მისი გადაკეთება ბევრად შრომატევადია, ვიდრე თავიდან შექმნა. მოვიტანოთ კონკრეტული მაგალითი.

საქართველოს მთავრობის დავალებით ეკონომიკის სამინისტრომ განიხილა, მოამზადა და მთავრობას წარუდგინა დადგენილების პროექტი „თევზის მრეწველობისა და თევზის მეურნეობის დეპარტამენტის“ შექმნის შესახებ. დადგენილების ამ პროექტის მიხედვით დეპარტამენტის ერთიანი სა- უნდა მოქცეულიყო თევზის მეურნეო- ველა გაერთიანე- ვი“, „საქთევზმე- თევზკოლმეურნე- ი“, „საქთევზმრეწვ- და ორგანიზაცია (საპ- სტიტუტის ფილიალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ბათუმში და სხვა); გარდა ფოთის გემთშემკეთებელ-გემთმშენებელი ქარხნისა (რომელიც მრეწველობის სამინისტროს გადაეცა).

მთავრობის დადგენილების ეს პროექტი, ფინანსთა და ზოგი სხვა სამინისტროს სალად მოაზროვნე ხელმძღვანელთა მიერ ტორპედირებულია (ჯერჯერობით მაინც) და აღარც მე შეგაწყენდით თავს ამაზე საუბრით, რომ ის არ მომზადებულიყო იმ სამინისტროს მიერ, რომელიც თავად არის მოწოდებული იდგეს ეკონომიკის რეფორმატორთა ავანგარდში. ამასთან, ვინაიდან მთავრობის დადგენილების აღნიშნული პროექტი მომზადდა მთავრობისავე დავალებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მთავრობაშიც არის კონსერვატორთა საკმაოდ ძლიერი ფრთა; სხვას ვერაფერს დაარქმევ მათ ამ ქმედებას. იმ დროს, როდესაც ვითარდება ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის პროცესები, როდესაც მიმდინარეობს მსხვილი მონოპოლიური გაერთიანებების დაშლისა და დაწვრილერთეულების პროცესი, როდესაც უქმდება სახელმწიფო მართვის ზედმეტი და შუალედური რგოლები, სახელმწიფო მონოპოლიური გაერთიანების შექმნის (სახელმწიფო დეპარტამენტის სახით) მცდელობა, სწორედაც რომ კონსერვატიზმია და სხვა არაფერი.

საქართველოს მთავრობის დადგენილების ზემოაღნიშნულ პროექტში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ მთავრობამ მიიღო ყველა ზემოთჩამოთვლილი გაერთიანების წინადადება და ამ წინადადების საფუძველზე შექმნა თევზის დეპარტამენტი. ამით თითქოს დადგენილების პროექტი ნებაყოფლობითობის საბურველით შეიმოსა. დანამდვილებით ვიცი, რომ დეპარტამენტში შემავალი გაერთიანებებიდან ყველას არ უნდოდა, ზოგიერთი კი კატეგორიული წინააღმდეგიც იყო დეპარტამენტში შესვლისა, მაგრამ მათი ხმა დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“; მაშასადამე, დადგენილების პროექტს, ნებაყოფლობითობისა კი არა, ძალადობისა და ავტორიტარიზმის ელფერი დაჰკრავს.

ამასთან, თევზის მოპოვება-გასაღება და გადამუშავება-წარმოების ანალოგიური სამსახური ხომ უკვე განვლილი ეტაპია?! ვინ გაანალიზა მიზეზები, რომლებმაც ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში გამოიწვია ასეთი მონოპოლიური სამსახურის დაშლა?! ისევე, როგორც მაშინ, დადგენილების პროექტში ჩაფიქრებულია მატერიალური წარმოების რადიკალურად განსხვავებული დარგების ერთი დეპარტამენტის ქვეშ გაერთიანება. ეს დარგებია: მომპოვებელი, გადამამუშავებელი და შიგაწყალსატევებზე თევზსამეურნეო საქმიანობა. ისინი განსხვავებული დარგებია იმიტომ, რომ მომპოვებელი მრეწველობის დარგში შრომის პროდუქტი ბუნების ნობათს წარმოადგენს (საზღვაო და საოკეანო თევზჭერა რომ ფაქტიურად თევზებზე ნადირობაა), ხოლო შიდაწყალსატევებზე თევზწარმოების შრომის პროდუქტი სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტია (თავიდან ბოლომდე ადამიანის მიერ წარმოებული). თუ ამ მიმართულებას განვავითარებთ, მონკავშირში შეიძლება წინასწარ შევქმნათ ჯიხვებზე, მწყერზე, ტახზე და სხვებზე მონადირეთა სექციები და გადავიყვანოთ მათი საქმიანობა სამრეწველო რელსებზე; შემდეგ ეს სექციები გავაერთიანოთ მეცხვარეობის, მეფრინველეობის, მეღორეობის და სხვა სამსახურებთან და იმავე წარმატებით შევქმნათ მეცხვარეობის, მეფრინველეობის, მეღორეობის და სხვა დეპარტამენტები.

თუ დადგენილების აღნიშნულ პროექტზე განვაგრძობთ საუბარს, შევნიშნავთ, რომ მის საკონსტატაციო ნაწილში გამოთქმულია ერთგვარი სინანული ერთ დროს ერთიანი (ყოფილი საკავშირო) სისტემის დაშლისა და ცალკეულ ორგანიზაციებად დაქსაქსვის გამო. კი მაგრამ, ასეთ პირობებში პრივატიზაცია ხომ უფრო ადვილი ჩასატარებელია; დაწვრილერთეულებული და დაქსაქსული წარმოებები ხომ უფრო ადვილად ექვემდებარებიან პრივატიზაციას. თუ ამ დაქსაქსულ წარმოებებს კვლავ ერთი დეპარტამენტის ქვეშ გავაერთიანებთ, ხომ ძალაუნებურად გადავაქცევთ ამ უკანასკნელს ბუნებრივ მუხრუჭად პრივატიზაციის გზაზე.

თუ დეპარტამენტი არ შეიქმნება და პირდაპირ ჩატარდება პრივატიზაცია, დამოუკიდებელი და თავისუფალი საწარმოები ნებაყოფლობით, საკუთარი შეხედულებებისა და მომგებიანობის შესაბამისად გაერთიანდებიან მათთვის საინტერესო საწარმოებთან ასოციაციებად, კონცერნებად და ასე შემდეგ აღმავალი გზით; ეს გზა ბუნებრივი და მართებული იქნება. სამწუხაროდ, ჩვენში ხშირად არის მცდელობა პრივატიზაციის თავდაყირა, დაღმავალი გზით ჩატარებისა.

ესე იგი, იქმნება დეპარტამენტები, კონცერნები, კორპორაციები იმ მოტივით, რომ შემდეგ (ზევიდან ქვევით) წარიმართოს პრივატიზაციის პროცესები. ეს ხომ ამ პროცესის არსისა და შედეგის სრული დამახინჯებაა. ხაზგასასმელია, რომ ასეთი გამიზნული დამახინჯების მამოძრავებელი ძალი არის თანამდებობის მაძიებელთა საინიციატივო ჯგუფები, დაკომპლექტებულნი ძლიერთაგან ამა ქვეყნისა. მათ უნარი აქვთ სასურველი კალაპოტით წარმართონ პროპაგანდისტული კამპანია მათთვის საინტერესო თემებზე, ხელეწიფებათ პირადი კონტაქტებითა და გავლენის შემწეობით გაიჩინონ თანამოაზრენი როგორც მთავრობაში, ისე შესაბამის სამინისტროებში, შეამზადონ და მთავრობას წარუდგინონ აღნიშნულის ანალოგიური დადგენილების პროექტი და სხვა. ასეთთა კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე, ამჟამად მშენებლობის სამინისტროში მოქმედი ე.წ. საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც მიზნად დაუსახავს რადაც არ უნდა დაუჯდეს, მოახდინოს რესპუბლიკაში საშენი მასალების წარმოების (როგორც დამოუკიდებელი დარგის განვითარების) სადავეების კონცენტრირება ერთიანი საწყისის ქვეშ და მართვის მონოპოლიზირება კონცერნის სახით. ასეთნი, სამწუხაროდ, სოკოებივით მომრავლდნენ ჩვენში.

**— და მაინც, საქართველო ტრადიციულად აგრარული ქვეყანაა. რას იტყვით ამის შესახებ?**

— უპირველესად, ყურადღებას მიწის რეფორმაზე გავამახვილებ. ცნობილია მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს მიწის რეფორმის ერთგვარად ნაჩქარევად დაწყება, ანუ მოსახლეობისათვის მიწის საკარმიდამო ნაკვეთების ნორმის გაზრდით და კერძო საკუთრებაში გადაცემით, ისე, რომ არ ჩატარებულა მიწების სრული ინვენტარიზაცია, რომელსაც სამიოთხი წელი მაინც სჭირდება. მიმაჩნია, რომ გადაუდებლად, დღესვე უნდა დავიწყოთ მიწების როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი აღრიცხვა, რათა ყველა სოფელსა და რაიონში გამოვყოთ კერძო საკუთრებაში გადასაცემი მიწები, დავადგინოთ მათი რაოდენობა, ნიადაგის შემადგენლობა და თვისებები. ეს გახდება არგუმენტირებული საფუძველი მიწის ფასისა და მიწაზე გადასახადის განსასაზღვრავად. ამასთან, უნდა მოხდეს მოსახლეობისათვის მიწების შევსება დაწესებული ნორმის ფარგლებში.

შემდგომ ეტაპზე უნდა ჩატარდეს კერძო საკუთრებაში გადასაცემი მიწების აგეგმვა და მათზე სახელმწიფო აქტების გაცემა. სახელმწიფო აქტებთან ერთად უნდა შედგეს მიწის ნაკვეთის პასპორტი, რომელშიც აღნიშნული იქნება ნიადაგის შემადგენლობა და თვისებები (ნიადაგის დასახელება, პროფილის სიღრმე, ჰუმუსოვანი ფენის სისქე, ჰუმუსის პროცენტული შემცველობა, მექანიკური შემადგენლობა, არეს რეაქცია, ჩამორეცხილობა, დაქვიანება, დაჭაობება, დამლაშება, აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის შემცველობა და სხვა); ეს აუცილებლად გვჭირდება, რომ შემდგომ წლებში საშუალება გვქონდეს გადავამოწმოთ ნიადაგების შედგენილობა-თვისებებში მომხდარი ცვლილებები; განვსაზღვროთ გაცემული მიწების გაკულტურების ან გაუარესების, აგრეთვე გაჭუჭყიანების დონე. ანუ, უნდა ჩატარდეს მიწის კადასტრის, მიწების მონიტორინგის და მიწაზე გადასახადის განსაზღვრის სამუშაოები მიწის რეფორმის მიზნების შესაბამისად.

**— რა ადგილს მიაკუთვნებთ ეკოლოგიას ახალი საქართველოს შენებაში?**

— როგორც ხედავთ, ეკოლოგიის დაინტერესების სფერო სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგს, ეროვნული მეურნეობის მთელ ინფრასტრუქტურას მოიცავს. გამომდინარე აქედან, ვფიქრობ, ბუნების დაცვის მინისტრი იმავდროულად მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის რანგში უნდა ამაღლდეს. ამაღლდეს მთავრობაში და არა სხვაგან, ვინაიდან როგორც უკვე ითქვა, ეროვნული მეურნეობა თითქმის თავიდან ყალიბდება, ხოლო მისი ავ-კარგი მთლიანად განსაზღვრავს ეკოლოგიური მდგომარეობის ბედ-უბედობას.

**— ბატონო ომარ! წინა სტატიაში პალიასტომის ტბის შესახებ თქვენმა მოსაზრებებმა კრიტიკული რეაქცია გამოიწვია მკითხველთა გარკვეულ ნაწილში.**

— ვერაფრით ვერ დავეთანხმები ვერსიას, რომ პალიასტომიდან, როგორც ევტროფირებული წყალმარჩხი ტბიდან საპროპელის ამოღებით, (ანუ ტბაში წყლის მასის გაზრდით და ბიოგენური ელემენტების კონცენტრაციის შემცირებით), ბუნებრივად შემცირდება ევტროფირების ინტენსივობა. ჩვენი რწმენა ეყრდნობა იმას, რომ პალიასტომის ტბის არც ერთ მკვლევარს არ დაუფიქსირებია ტბის წყლებში ბიოგენური ელემენტების შემაშფოთებელი ზრდა, ან თუ გნებავთ, რამდენადმე ყურადსაღები რაოდენობა მაინც. ამასთან, პალიასტომის ტბის წყალი მდიდარია, თითქმის გაჯერებული ჟანგბადით (მათ შორის ფსკერულ ფენებშიც) და ღარიბია პლანქტონითაც და ბენთოსით. ამაში რომ დაერწმუნდეთ საკმარისია გადავხედოთ პალიასტომის ტბის ისეთ მკვლევართა შრომებს, როგორიცაა: „საქართველოს ტბები“ (იხ. აფხაზავა, 1975წ.). „საქართველოს ტბის წყალსატევები და თევზსამეურნეო მნიშვნელობა“ — (გ.ბარაჩი, 1964წ). „პალიასტომის ტბა და მასზე თევზის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები“ — (ა.სადოვსკი, 1930წ.) და სხვები. ტბის წყლის ეკოსისტემის ეს მახასიათებლები აბსოლუტურად გამორიცხავენ პალიასტომში ევტროფირების პროცესის ნებისმიერი სტადიის არსებობას და ამ მიზეზით „ტბის კვდომის“ ალბათობას. მაშასადამე, პალიასტომის გადარჩენის მიზნით ტბის დაღრმავება, ანუ საპროპელის ამოღება ეკოლოგიურ საფუძველს მოკლებულია. ეს იდეა გაჟღენთილია მხოლოდ საპროპელისგან დამზადებული სასუქის გაყიდვით მიღებული მოგების სურვილით.

უსაფუძვლოა პალიასტომის საპროპელით ამოლამვის საშიშროებაც, ვინაიდან საპროპელი ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ათასეულობით წლების განმავლობაში მტკნარი პალიასტომის პირობებში. დღეს, როდესაც პალიასტომი გადაქცეულია ზღვის ლაგუნად, მის მარილიან წყალში საპროპელის შემდგომი განვითარება უპერსპექტივოა.

„პალიასტომის ტბის ადრინდელი ეკოლოგიური მდგომარეობისა და ჰიდროდინამიკური რეჟიმის აღსადგენად აუცილებელია ხელოვნური სრუტის გადაკეტვა როგორც ზღვის მხრიდან, ასევე ტბასთან; აგრეთვე კაპარჭინას კალაპოტის გაწმენდა და ჩაღრმავება, რათა გაიზარდოს პალიასტომის ტბიდან ზღვაში ჩამდინარე წყლების გამტარუნარიანობა. ამგვარად, შეიძლება ავიცილოთ ტბის წყლების დონის ინტენსიური ამაღლება და ფოთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის დატბორვა“. (პროფესორები ვ.ჯაოშვილი, დ. უკლება, გ.გიგინეიშვილი და სხვები „კოლხეთის დაბლობი“ — გვ.59). იგივე აზრს ატარებს პალიასტომის ყველა მკვლევარი ზემოთჩამოთვლილ შრომებში.

თუ საპროპელს მაინც ამოვიღებთ, დავკარგავთ დღეს ჯერ კიდევ არსებულ შესაძლებლობას — დავუბრუნოთ პალიასტომს პირვანდელი სახე. ვიმეორებ, საპროპელი არის ის უნიკალური სანიტარი, რომელსაც არამარტო ბაქტერიოციდული თვისებების გამო, უნარი შესწევს ზღვისაგან გამოყოფილი პალიასტომი აქციოს უნიკალურ ეკოსისტემად. საპროპელი განაპირობებდა იმას, რომ „სრუტის წარმოქმნამდე წყლის მარილიანობა ტბაში იშვიათად აღწევდა ერთ პრომილეს“ (ანუ ერთ გრამს ლიტრზე) — ვ.ჯაოშვილი „კოლხეთის დაბლობი“ გვ.59. სწორედ საპროპელი განაპირობებდა, რომ წყლის ეკოსისტემა ხასიათდებოდა მაღალი პროდუქტიულობით, რაც თევზპროდუქტიულობის მაღალ დონეს განსაზღვრავდა. წყალში გახსნილი ჟანგბადის ჭარბმა რაოდენობამ პალიასტომი ბენთოსის, პლანქტონისა თუ იქთიოფაუნის იშვიათ სახეობათა არეალად აქცია.

პალიასტომს ჰქონდა საკუთარი მორფა — პალიასტომის ქაშაყი. თუ კეფალი შავი ზღვის სანაპირო წყლებში თითქმის ყველგან იყო ცნობილი, „საქართველოში მას მხოლოდ პალიასტომში ჰქონდა სარეწაო მნიშვნელობა“ („საქართველოს მტკნარი წყლის თევზები“); პალიასტომის უნიკალურობის დასახასიათებლად, სხვა მრავალთა შორის, შეიძლება ერთი ფაქტის მოყვანა. ცნობილია, რომ ზუთხისებრთა რეპ- კონტინენტალურ წყლებში (მდინარეებში სათავეებისაკენ) მხოლოდ ტოფობის დროს. ტოფობის შემდეგ მწარმოებლები მალევე ეშვებიან ზღვისაკენ, ამასთან არც ლიფსიტები რჩებიან მდინარეში დიდხანს და ჩადიან ზღვაში შემოდგომისათვის. პალიასტომი იყო ერთადერთი ტბა (არამარტო საქართველოში) რომელსაც „ჰქონდა აგრეთვე საძოვრის მნიშვნელობა ზუთხისებრთა მოზარდი თაობისათვის, განსაკუთრებით ტარაღანასათვის, რომლებიც შემორჩებოდნენ იქ სამი წლის ასაკამდე — სხვადასხვა წლებში მათი რეწვა ადიოდა სამ ცენტნერამდე“ (გ.ბარაჩი „საქართველოს ტბის წყალსატევები და თევზსამეურნეო მნიშვნელობა“ გვ.66);

მრავალი ანალოგიური ფაქტის მოყვანა შეიძლება პალიასტომის უნიკალურობის დასახასიათებლად, რომლებიც დღეს მისთვის ეკოლოგიური კატასტროფის ტოლფასი სიბეცის გამო გადაქცეულია ზღვის ლაგუნად. „გამარილიანების გამო ამოწყდა ბენთოსისა და პლანქტონის ორგანიზმების უდიდესი ნაწილი, რამაც გამოიწვია საკვები ბაზის უკიდურესი გაღარიბება, თევზის მარაგის მკვეთრი შემცირება“ - (ი.აფხაზავა „საქართველოს ტყეები“, გვ.100), ამბობენ კეფალი ევრიფაგული არის; ევრიფაგული კი არა, რკინისმკვნეტელიც რომ იყოს, თუ საკვები არ ექნა — გადაშენდებოდა და გადაშენდა კიდეც. საპროპელის გარეშე პალიასტომი შეიძლება გახდეს რიგითი ტბა (თუ ზღვის- გან გამოვყოფთ), ან ზღვის ყ- (თუ არ გამოვყოფთ), მ- აღსდგეს ძველი პალიას- თავისი ბუნებრივ - ისტორ- მნიშვნელობით, უკვე შე- ბელი იქნება.

ეს რომ არ მოხდეს, აუ- ბელია წინასწარ, საკითხის ლად შესწავლის მიზნით, სამ- ერო-კვლევითი, საძიებო თ- როექტო სამუშაოების სრულ- ცულობით ჩატარება ( ორი- განმავლობაში მაინც). მხოლოდ მასზე დაყრდნობით უნდა შეირჩეს პალიასტომის ადარჩენის ოპტიმალური გეგმა მომგებიანად შეთანაწყობილი კოლხეთის ათვისების ერთიან პროგრამასა და ეროვნული მეურნეობის განვითარების კონცეპტუალურ მოდელთან. როდესაც ეს მარტივი ჭეშმარიტება არ ესმის მომხმარებელს (მისი მტაცებლური თვისებების გამო) გასაგებია, მაგრამ როდესაც იგივე არ ესმის „ეკოლოგს“ — ეს უკვე შეცდომაზე მეტია.

ბოლოსიტყვის მაგივრად ვიტყვი, რომ უცოდინარობა თავისთავად დანაშაული არ არის, მაგრამ გახმაურებული უცოდინარობა ინტელექტის უკმარისობაზე მეტყველებს მხოლოდ. მე მოვუწოდებ იმათაც, ვინც ბრმა იარაღია სხვათა ხელში და იმათაც, ვინც ამ იარაღს აჟღარუნებს — აუცილებელია პროფესიონალიზმი, სისტემური ცოდნა. ალაგ-ალაგ „დაშტოფილი“ და აქა-იქ ყურმოკრული ცოდნა, ეს ის ცოდნაა, „ბრავო“ რომ აყვირებინა სოლომონ ისაკიჩს იმ ბედდამწვარ თეატრში.

ესაუბრა
სერგო ჯანაშია

**რედაქციისაგან: ბატონი ომარ ჯანელიძე გახლავთ საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე და ამდენად, იმ პრობლემებზე, რაზეც ამ ინტერვიუშია მსჯელობა, მას წლების განმავლობაში აქვს ნაფიქრალ-ნააზრევი.**

**ამასთანავე, ჩვენს მკითხველს გვინდა ვაუწყოთ, რომ წინა ხელისუფლების დროს, როცა ჩვენი გაზეთი ოპოზიციაში ედგა მთავრობას და იმ ავადსახსენებელ „შავ სიაშიც“ იყო მოხვედრილი, სწორედ ბატონმა ომარ ჯანელიძემ შეგვიფარა ბუნების დაცვის საზოგადოების შენობაში და უყოყმანოდ შეგვეწყო ხელი, რომ ნორმალური სამუშაო პირობები გვქონოდა, რისთვისაც ჩვენ მადლობას ვწირავთ მას.**

# სსფ დარბაზის განცხადება

ოთ შაბათს, 17 ივნისს, ჩატარდა საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა, რომელიც, ძირითადად, კარს მომდგარ არჩევნებთან დაკავშირებით შიდაპარტიულ პრობლემებს მიეძღვნა.

დარბაზმა მიიღო განცხადება. გთავაზობთ ამ განცხადების ტექსტს.

ცნობილია — და საქართველოს სახალხო ფრონტს არაერთხელ გაუფრთხილებია ამის თაობაზე საზოგადოებრიობა, — რომ რუსეთის და „სნგ“-ს შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც კავკასიაში და ამიერკავკასიაში იმყოფებიან, სრული საშუალება მოეპოვებათ, იარაღის მიწოდება-არმიწოდებით არეგულირონ ნებისმიერი შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობა და ნებისმიერი ბრძოლის ბედი ამ რეგიონში, განურჩევლად კონფლიქტის მასშტაბისა და მისი სამოქალაქო, ერთაშორისი თუ ქვეყანათაშორისი ხასიათისა. ამ გარემოებიდან გამომდინარე, როგორც საზოგადოების, ისე პოლიტიკური პარტიების ერთ ნაწილს აუცილებლად მიაჩნია მეგობრული ურთიერთობის ქონა რუსეთისა და „სნგ“-ს იმ შეიარაღებულ ძალებთან, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან, და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობასთან, რათა მათი შესაძლებლობები ან ჩვენი ქვეყნის ან, უარეს შემთხვევაში, თავისი პოლიტიკური ჯგუფის სასარგებლოდ მოიხმარონ. ამ აზრს ადგას, როგორც ეტყობა, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებაც, რაც იქიდან ჩანს, რომ მას დღემდე არ აღუძრავს საკითხი საქართველოში რუსეთის და „სნგ“-ს შეიარაღებული ძალების ყოფნის ვადისა და პირობების, ან საქართველოდან ამ შეიარაღებულ ძალთა გაყვანის და- ...-სახებ.

...ველოს სახალხო ფრონტისათვის გასაგებია ხელისუფლების ეს პოზიცია, მაგრამ დღევანდელ პირობებში მას უკვე არადამაკმაყოფილებლად თვლის. საქართველო არ უნდა ურიგდებოდეს იმ ვითარებას, როცა მისი წარმატება ნებისმიერ შეიარაღებულ დაპირისპირებაში ამა თუ იმ გარეშე ან შინაგან ძალასთან დამოკიდებული იქნება რუსეთის და „სნგ“-ს სურვილზე. მით უმეტეს, საქართველო ვერ შეურიგდება იმ მდგომარეობას, რომ მისი საზღვრები მეზობელ სახელმწიფოებთან იყოს ან დაუცველი, ან უცხო ძალის მიერ კონტროლირებული.

ბოლო დროის მოვლენები — კერძოდ, რუსეთის და „სნგ“-ს შეიარაღებული ძალების მიერ მძიმე იარაღის დიდი პარტიის მიწოდება ოსური ეროვნების ანტიქართული ბანდებისათვის ცხინვალის რეგიონში ვლადიკავკაზში იარაღის გატაცების იმიტაციის გზით და სხვა გზებით, აგრეთვე საქართველოსათვის „სნგ“-ს შეიარაღებიდან მიკუთვნებული წილის გადაცემის შეფერხება, ისევე როგორც რსფსრ პოლიტმოღვაწეთა აგრესიული გამონათქვამები საქართველოს მიმართ — ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ვერც საქართველოს თავდაცვის ამოცანა, ვერც საქართველოს შეიარაღებულ ძალთა მშენებლობის ამოცანა ვერ გადაწყდება რუსეთისა და „სნგ“-ს ჯარებისაგან დახმარების მიღებაზე ან ჩვენი ქვეყნის მათ მიერ დაცვაზე ორიენტაციით და, ამგვარად, არ არსებობს ისეთი რეალური მოგება საქართველოს თავდაცვისუნარიანობისათვის, რომელიც აკომპენსირებდეს საქართველოში უცხო ჯარის დგომის სახიფათოსა და შეურაცხმყოფელ ფაქტს. საქართველოსათვის აუცილებელია შეიარაღებულ ძალთა მშენებლობა, რუსეთისაგან დამოუკიდებელი გზის პოვნა და საკუთარი საზღვრების საკუთარი ძალით დაცვა, რაც პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ საქართველომ დაბეჯითებით უნდა ითხოვოს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისაგან დახმარება იარაღის (პირველ ყოვლისა — თავდაცვითი იარაღის) შეძენისა და იარაღის წარმოების ორგანიზაციის, აგრეთვე კადრების მომზადების საქმეში. საქართველოს სამხედრო პრობლემების გადაჭრის ეს ერთადერთი პერსპექტიული გზა გულისხმობს საქართველოდან რუსეთის და „სნგ“-ს შეიარაღებული ძალების გაყვანასაც უმოკლეს შესაძლებელ ვადაში.

თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო ფრონტი მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისაგან, დაუყოვნებლივ აღძრას ოფიციალურად საქართველოდან რუსეთის და „სნგ“-ს ჯარების გაყვანის საკითხი და საზოგადოებას სისტემატური ინფორმაცია მისცეს კონკრეტული მოლაპარაკების მიმდინარეობაზე. სსფ მხარს უჭერს ყველა სამოქალაქო ინიციატივას, რომელიც მიმართული იქნება ამ მიზნისაკენ, მათ შორის „ქარტია-91“-ის მიერ დაწყებულ აქციას საქართველოდან რუსეთისა და „სნგ“-ს ჯარების გაყვანის მოთხოვნით, რომელიც დაიწყო 1992 წლის 16 ივნისს.

სსფ აფრთხილებს ყველა პიროვნებას, ისევე, როგორც ყველა ადმინისტრაციულ ინსტანციას, რომელიც შეეცდება ძალადობით შეაფერხოს ეს კამპანია, რომ საქმე ეხება საქართველოსათვის უმძიმესსა და უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის აწმყო და მომავალი, და რომ მოძალადეს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება.

# განცხადება

უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც კავკასიელ მთიელ ხალხთა შორის ახალი გავრცელება მიიღო კავკასიური ერთობისა და სოლიდარობის წმინდა იდეამ და დაიბადა მისი პოლიტიკური გაფორმების გეგმა. სამწუხაროდ, ამ იდეის პოპულარიზატორებმა და მისი პოლიტიკური ხორცშესხმის ინიციატორებმა, წინაალმდეგ ისტორიული, ეთნიკური და პოლიტიკური რეალობისა, კავკასიელ მთიელ ხალხთა რიცხვში არ ჩართეს ყველაზე მრავალრიცხოვანი კავკასიელ მთიელ ხალხთა შორის — ქართველი ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაოდ ცნობილია კავკასიური ერთობის იდეის გადამწყვეტი როლი ქართველთა პოლიტიკურ აზროვნებაში დღეს და წარსულში. უფრო მეტიც კავკასიური ერთობის მოძრაობის ზემოხსენებული ფრთის წარმომადგენლებმა მას თავიდანვე ანტიქართული ხასიათი მისცეს. დღეს უკვე ლაპარაკია კავკასიის „მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ შეიარაღებული თავდასხმის შესახებ საქართველოზე მისი ტერიტორიული მთლიანობისა და მისი სუვერენიტეტის ხელყოფის მიზნით.

მიმაჩნია, რომ როგორც ზემოხსენებული პოლიტიკური ინიციატივის ანტიქართული მიმართულება, ისე მის ორგანიზატორთა მიერ ქართველი ხალხის პოტენციური წვლილის უგულებელყოფა ნაკარნახევია უცხო ძალების მიერ, რომლებიც ცდილობენ რუსეთის იმპერიული ინტერესების ან სხვა ქვეყნის ექსპანსიური ინტერესების დაცვას, და არანაირად არ ასახავს კავკასიელ ხალხთა საერთო სულისკვეთებას.

წინაალმდეგ ზემოხსენებული ანტიქართული და, არსებითად, ანტიკავკასიური პოზიციისა, მე კავკასიური სოლიდარობა საქართველოს დღევანდელ და სამომავლო პოლიტიკის ქვაკუთხედად მიმაჩნია. საქართველო თავის ბუნებრივ და უშუალო მოკავშირეებად თვლის კავკასიური მოდგმის ყველა ხალხს, ვინც კავკასიონის ჩრდილოეთით ან სამხრეთით ცხოვრობს, აგრეთვე კავკასიაში მაცხოვრებელ ყველა სხვა ხალხს, და მზად არის, რომ კავკასიური ერთობის პრინციპი, განურჩევლად რელიგიური, იდეოლოგიური თუ პოლიტიკური განსხვავებულობებისა, განახორციელოს ყოველ დროს და ყოველგვარი პოლიტიკური თუ სამხედრო ქარტეხილების პირობებში.

მიმაჩნია, რომ კავკასიის ხალხებისათვის, რომელნიც თავის ისტორიულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ და რომელთა ყოფნა რუსეთის შემადგენლობაში მხოლოდ ამ უკანასკნელის ექსპანსიის შედეგია, რითაც მათი მიწა-წყალი იმპერიის შემადგენლობაში მოექცა, პერსპექტიული გზა მხოლოდ თავისუფლებისა და რუსეთისაგან სახელმწიფოებრივი გამოყოფის გზაა. მიმაჩნია, რომ საქართველოს რესპუბლიკამ დღეს და მომავალ პრინციპულად მხარი უნდა დაუჭიროს კავკასიელი ხალხების მისწრაფებას რუსეთის ფედერაციიდან გამოყოფისაკენ და საკუთარ სახელმწიფოთა შექმნისაკენ.

Ნ.ნათაძე


იყიდება გერმანული როიალი „როინიში“. ტელ: 37-46-72 ხათუნა


გაზეთ „საქართველოს“ თანაგრძნობას უცხადებს გაზეთის კორესპონდენტ კობა ლიკლიკაძეს ბაბუის ამბროსი კომახიძის გარდაცვალების გამო

# ვისთან ხართ...

...ოსეთის რესპუბლი-... საბჭოს თავმჯდომა-... ...ულუმბეგოვს ჰელსინ-... ...ვმჯდომარის ჰეინო რა-... ...მა წლის 20 მაისს წე-... ...ნია.

...ჰელსინკში ჩამოვსუ-... ...ანიშნულია წერილში, ...ჩვენებით, წარმოგიდგენდით ისეთ დოკუმენტებსა და ისტორიულ ფაქტებს, მყისვე დარწმუნდებოდით, საქართველოს პრეტენზიებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის მიმართ არავითარი ისტორიული და იურიდიული საფუძველი არ გააჩნიაო; დარწმუნდებოდით, რომ სახეზეა მცირე იმპერიის, საქართველოს მცდელობა სამხრეთ ოსეთის კიდევ ერთხელ ანექსიისა და ოკუპაციისო...

არ იკითხავთ, რომელი „დოკუმენტები“ და „ისტორიული ფაქტები“ აქვს მხედველობაში კულუმბეგოვს?

„პრაქტიკულად სამხრეთ ოსეთის ანექსია პირველად 1922 წელს მოხდა. „მგზნებარე ბოლშევიკებმა“ — სტალინმა და ორჯონიკიძემ — ორივენი ქართველები იყვნენ — ამ წელს საქართველოს უბოძეს სამხრეთ ოსეთი“.

ხედავთ, სტალინსა და ორჯონიკიძეს თურმე ხელოვნურად კი არ შეუქმნიათ, უბოძებიათ ოსებისთვის, სწორედ 1922 წელს, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ — ეს შენელებული მოქმედების ნაღმი, ასე გამიზნულად რომ ფეთქდება და ფეთქდება დღემდე, — არამედ, როგორც გამოუსწორებელ ქართველებს, დრო უხელთიათ და „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოსთვის უჩუქნიათ (არ დაგვავიწყდეს, ეს ის დროა, სტალინ-ორჯონიკიძე მართლაც ქართული ხელგაშლილობით რომ არიგებდნენ ქართულ მიწებს სამხრეთით თუ ჩრდილოეთით!), ერთი სიტყვით, ჩემი შენ გითხარიო!

ეს, რაც შეეხება „დოკუმენტს“. ახლა „ისტორიული ფაქტიც“ ვნახოთ:

„იმას, რომ ოსეთი არასოდეს შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში, მოწმობს ის ფაქტი, რომ იგი ჯერ კიდევ 1774 წელს შევიდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. ხოლო საქართველო, უკანასკნელი ქართველი მეფის ერეკლე II თხოვნით რუსეთის პროტექტორატში 8 წლით გვიან, მხოლოდ 1783 წელს შევიდა. მოცემულ (საქართველოს — ფ.კ.) ტერიტორიაზე არსებულ აფხაზეთს, სამეგრელოს, გურიას, იმერეთს და სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებსა და სამთავროებს 1788 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატთან არავითარი საერთო არ ჰქონდათ, ისევე როგორც სამხრეთ ოსეთს“.

აქ არაფერს ვიტყვით იმის გამო, რომ ერეკლე II თურმე „უკანასკნელი ქართველი მეფე“ ყოფილა (მაშ, გიორგი XII, სოლომონ II ვინ იყვნენ?!), რომ აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, იმერეთი მხოლოდღა „მოცემულ ტერიტორიაზე“ არსებული „დამოუკიდებელი სახელმწიფოები“ ყოფილან. მთავარი ის „ცნობაა“, რომ „სამხრეთ ოსეთი“ 1774 წელს რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესულა!

მართლაც, რას არ დაწერს კალამი! სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საინტერესოა, სამხრეთ ოსეთის „სახელმწიფო“, „სამეფო“, „სამთავრო“ თუ „სათავადო“ შევიდა რუსეთის პროტექტორატში?! არც ერთი, არც მეორე, არც მესამე და არც მეოთხე! ვერც შევიდოდა. და იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არც ერთი ამდაგვარი რამ არასდროს და კერძოდ, მე-18 საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე არ არსებობდა („სახრეთ ოსეთი“ კი არა, ამ პერიოდში ოსთა მხოლოდ ჩამოსახლება ხდება შიდა ქართლში!). ეს მხოლოდ კულუმბეგოვის ფანტაზიებია, გათვლილი, საქართველოს ისტორიაში გაუთვითცნობიერებელ ევროპელებზე...

ამ „ისტორიული წიაღსვლების“ შემდეგ კულუმბეგოვი დღევანდელობაზე გადადის და ამ გადასვლის დროსაც, რასაკვირველია, ისეთსავე მარგალიტებს აფრქვევს, როგორებიც ზემოთ ვიხილეთ.

„ახლანდელი საქართველოს იმპერია ბოლშევიზმის ნაშიერიაო“, — მოახსენებს კულუმბეგოვი ფინელ ადრესატს და ამ ცნობასაც ჩვეული „სიმართლითა და ობიექტურობით“ „ასაბუთებს“:

თურმე ნუ იტყვით, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ასიმილაციის მიზნით ოსებისათვის არაერთხელ შეუცვლიათ ალფავიტი, უხურავდნენ ოსურ სკოლებს, სამუშაოზე მიღების დროს ეწეოდნენ მათ დისკრიმინაციას, საქმის წარმოება გადაჰყავდათ ქართულ ენაზე... ხოლო ამჟამად, საერთოდ, სიცოცხლის უფლებას ართმევენ და (ისევ თურმე) მხოლოდ იმისათვის, რომ, ირწმუნა რა „ღმერთის რჩეული“ ქართველი ერის დემოკრატიულობა, ოსმა ერმა გაბედა გამოეცხადებინა დემოკრატიული რესპუბლიკა, აირჩია სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული მთავრობა, საერთო-სახალხო რეფერენდუმზე დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება საქართველოდან გასვლის შესახებ.

და ყველაფერი ეს ნათქვამია საქართველოს და არა რუსეთის იმპერიასთან (აი, ვინ არის იმპერია, თუ არის!), ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან მიმართებაში, სადაც ოსები შეიძლება ითქვას თითქმის გაარუსეს.

საქართველოში კი, ბატონმა ჰეინო რანტალმა თუ არა, ჩვენ ხომ მაინც ვიცით, პატივცემულო მკითხველო, სწორედ პირიქით იყო — ე.წ. ჩრდილოეთ ანუ ნამდვილ ოსეთისაგან განსხვავებით, აქ იყო და არის ოსური სკოლები, უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი... კი, დისკრიმინაციაც იყო... ქართველებისა ოსების მიერ...

ასეთია ფაქტები (ჯიუტი ფაქტები), მაგრამ კულუმბეგოვს ხომ ფაქტები არ სჭირდება. მას არც მეტი, არც ნაკლები... „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ ცნობა-აღიარება სჭირდება ევროპის თანამეგობრობის ქვეყნების მხრიდან, რასაც მოითხოვს კიდეც აღნიშნულ წერილში: როგორ, შევარდნაძის არალეგიტიმური ხელისუფლება უნდა გეცნოთ და სამხრეთ ოსეთის სრულიად საერთო-სახალხო არჩევნებით არჩეული, ლეგიტიმური ხელისუფლება — არა, განა ეს ოსი ხალხის, როგორც ეროვნული უმცირესობის დისკრიმინაცია არ არისო?!

რა კარგია! რამდენი ეროვნული უმცირესობაც ამა თუ იმ (სხვის) ტერიტორიაზე დამოუკიდებლობას გამოაცხადებს უკანონოდ, იმდენი ახალი „სახელმწიფო“ თუ სცნო კანონიერად ევროპის გაერთიანებამ, კაი დახლი კი დაუდგება ევროპულ (საერთაშორისო) სამართალს (ისე, ეს „დალოცვილი“ წარამარა „საერთო-სახალხო“ არჩევნებსა და რეფერენდუმს რომ იმოწმებს, ის რატომ „ავიწყდება“, შიდა ქართლში ოსებს გარდა მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს ქართველები რომ შეადგენენ, და მათ კი არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ კულუმბეგოვის ნაქებ საერთო-სახალხო ღონისძიებებში?!)!..

* * *

როგორც იტყვიან, ყველაფერი გასაგებია.

ყველაფერი — კულუმბეგოვთან დაკავშირებით.

ეს კაცი, ხომ, ბოლოსდაბოლოს, თავის საქმეს აკეთებს. და ამისათვის, როგორც ვნახეთ, ყველაფერს კადრულობს.

დიახ, ეს კი აკეთებს თავის საქმეს, მაგრამ გაუგებარი, საინტერესო ისაა, ვის საქმეს აკეთებს გაზეთი „იბერია-სპექტრი“?!

რა შუაშია „იბერია-სპექტრი“?

შუაში კი არა, მთლად თავშია.

მიაქცევდით ყურადღებას, აქამდე არ მითქვამს, თუ სად წავიკითხე კულუმბეგოვის აღნიშნული, „ევროპული წერილი“, დაგაინტერესებდათ, ალბათ, საიდან ჩაუვარდა ხელში ამ კაცს ეს კონფიდენციალური ბარათიო.

არა, ბატონო, „ხელში ჩაგდება“ რა საკადრისია, როცა, აგერ, თბილისში გამომავალ ქართულ (თუ ქართულ-რუსულ თუ რუსულ-ქართულ) გაზეთ „იბერია-სპექტრშია“ (იხ. 11—17 ივნისის ნომერი) კოხტად გამოქვეყნებული (აი, იმაზე კი ვერაფერს მოგახსენებთ, თვითონ რედაქციას როგორ ჩაუვარდა ხელთ — საიდან გადმობეჭდეს, ამის შესახებ გაზეთი რატომღაც არ მიუთითებს).

გაუგებარი მარტო ის როდია, რომ გაზეთმა ეს წერილი დაბეჭდა; როგორც ცნობილია, პრესა თავისუფალია.

მთავარი ისაა, რომ ესოდენ ...რო წერილს რედაქცია არავით... ტარს არ უკეთებს, არაფერ... მათება მის ავტორს!

არადა, ეს, გარკვეუ... გამო პოპულარული გაზე... დება საქართველოს რუს... მოსახლეობაში, საქართველ... რეთ... წაიკითხავს ეს რუსულ... ნი, ჰეინო რანტალივით საქა... ლოს ისტორიაში გაუთვითცნობიერებელი მკითხველი კულუმბეგოვის ამგვარად უკომენტარო — უკამათოდ, თავაზიანად მიწოდებულ წერილს და... ხომ გასაგებია, რა „ცოდნასაც“ შეიძენს, რა სიმართლეს „შეიტყობს“, საერთოდ, ვის საქმეს გააკეთებს ეს პუბლიკაცია?!

* * *

ღირდა, ვითომ, „იბერია-სპექტრის“ პატივცემულო რედაქციავ, კულუმბეგოვის დეზინფორმაციული წერილის დაბეჭდვა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ბატონ შევარდნაძესაც და სახელმწიფო საბჭოსაც „ხვდებათ“?!

არა მგონია, თქვენი ამ არცთუ სასარგებლო (რბილად ვამბობ) პუბლიკაციით კმაყოფილნი დარჩენილიყვნენ, მოგიწონონ იგი თუნდაც ბ-ნ შევარდნაძისა და სახელმწიფო საბჭოს მოწინააღმდეგეებმა, საერთოდ, ყოფილი ხელისუფლების მომხრეებმა...

ფელიქს კოჟიაშვილი


ინდექსი 66447

ფასი 3 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5 ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილის 93-18-41.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.



შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.



რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი